პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 52 (10138) | ხუთშაბათი, 3 მარტი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

გავაჩაღოთ შეჯიბრება მეჯაღურგების დასახმარებლად

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებმაც უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით აღნიშნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე — 27 თებერვალი, ერთსულოვანი დარაზმულობით იბრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის. ხალხმა ეს გადაწყვეტილებანი მიიღო ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარების, მოსახლეობის კეთილდღეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის ბრძოლის პროგრამად.

საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ, რომ „კომუნისტურ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს დიდი ლენინის მოძღვრებით ჩვენი ქვეყნის მსხვილი მანქანური მრეწველობისა და ელექტროფიკაციის ყოველი ღონისძიებით განვითარების შესახებ, ისევე როგორც წინათ, თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია შემდგომი აღმავლობა მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც შეადგენს ჩვენი სამშობლოს მთელი სახალხო მეურნეობისა და ურყევი თავდაცვისუნარიანობის მტკიცე საფუძველს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყაროს. ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით დიდდება ლითონის, მანქანებისა და ელექტროენერგიის წარმოება, მატულობს ქვანახშირისა და ნავთობის ამოღება. მძიმე ინდუსტრიის განუწყვეტელი ზრდის ბაზაზე ვითარდება მსუბუქი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგები, მძიმე ინდუსტრიის ბაზაზე ვითარდება ჩვენი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა“.

წელს ჩვენი ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის მუშაკებს დიდი ამოცანები აქვთ დასახული. გადაჭრით უნდა გაადიდონ ლითონის წარმოება მეტალურგებმა, ახალი, გაუმჯობესებული მანქანებისა და ჩარხების გამოშვება — მანქანათმშენებლებმა და ჩარხმშენებლებმა, ქვანახშირის ამოღება — მეშახტეებმა, მადნის მოპოვება — მაღაროელებმა, ელექტროენერგიის გამოშვება — ენერგეტიკოსებმა და ა. შ. მეტი თუჯი, ფოლადი, ქვანახშირი, მანქანები და პოწყობილობა სჭირდება წელს სამშობლოს იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს უფრო წარმატებით და სწრაფად გადავჭრათ სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ახალი აღმავლობის საკითხები, მივაღწიოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას, ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონის გადაჭრით ამაღლებას.

განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ ჩვენი რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს, უწინარეს ყოვლისა მეტალურგებს. მათ წელს 1954 წელთან შედარებით უნდა მოგვცენ 18,3 პროცენტით მეტი ფოლადი, 23,8 პროცენტით მეტი ნაგლინი, გამოუშვან შარშანდელზე გაცილებით მეტი მთლიანნაგლინი მილები, საკმაო რაოდენობით მოგვცენ კოქსი, თუჯი, აგლომერატი და მეტი რაოდენობით მიაწოდონ ლითონი მანქანათმშენებელ და ჩარხმშენებელ ქარხნებს, რომლებსაც თავის მხრივ ბევრად გადიდებული საწარმოო დავალებები აქვთ.

მაგრამ მეტალურგებმა პირნათლად რომ მოიხადონ თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე, საჭიროა მათ დახმარება გაუწიონ სამთამადნო მრეწველობის სხვა დარგების საწარმოთა კოლექტივებმა — საკმაო რაოდენობით მიაწოდონ საუკეთესო ხარისხის ნედლეული — რკინის მადანი, მარგანეცი, სუფთა ქვანახშირი, ფლიუსები, ცეცხლგამძლე მასალები.

საგულისხმოა ამ მხრივ ის ფართო გამოხმაურება, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის სამთამადნო მრეწველობის სხვადასხვა საწარმოთა კოლექტივებში გამოიწვია სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელებისა და მოწინავე ადამიანების კოლექტიურმა წერილმა, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტის“ 25 იანვრის ნომერში რუსთავის მეტალურგებისათვის მეტი მადნის, ქვანახშირის კონცენტრატის, დამხმარე მასალების მიწოდების შესახებ. მეტალურგების მოწოდებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ჩვენი სახელოვანი მეშახტეები და მაღაროელები, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება მეტი ქვანახშირის, მეტი მადნის მოსაპოვებლად.

ჭიათურიდან, ტყიბულიდან, ტყვარჩელიდან უკვე მოდის ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი თავდადებით იბრძვიან მოწინავე შახტებისა და მაღაროების კოლექტივები მეტალურგების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების გასანაღდებლად. მთავარი ახლა ის არის, რომ არ შევანელოთ მასების ის შრომითი აქტივობა, რომელიც მეტალურგების მოწოდებამ გამოიწვია, არ შევანელოთ სოციალისტური შეჯიბრების ის ტემპი, რომელიც არჩევნებისათვის მზადების პერიოდში აიღეს შახტებში და მაღაროებში.

შახტებისა და მაღაროების სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მთავარი ამოცანა ახლა ის არის, რომ სათავეში ჩაუდგნენ მასების ამ აქტივობას, მარჯვედ, უნარიანად უხელმძღვანელონ მათ დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ტყიბულელმა მეშახტეებმა დიდი და პასუხსაგები ამოცანა იკისრეს. მათ გადაწყვიტეს საგრძნობლად შეამცირონ ქვანახშირის კონცენტრატის ნაცრიანობა, რათა ამით საშუალება მისცენ მეტალურგებს გაუმჯობესონ კოქსის გამოშვება და თუჯის გამოდნობა. მაგრამ ცნობილია, რომ კონცენტრატის ნაცრიანობის შემცირებისათვის საჭიროა გამამდიდრებელ დანადგარებზე ქვანახშირის გადამუშავება მეტი რაოდენობით, ე. ი. ქვანახშირის მოპოვების გაძლიერება, რაც დაკავშირებულია შახტებში შრომითი რაციონალური მეთოდების დანერგვასთან, საშახტო მექანიზმების სრული სიმძლავრით გამოყენებასთან და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ტყიბულელი და ტყვარჩელელი მეშახტეები პირველ ხანებში გაცილებით უკეთესი ხარისხის საკოქსე კონცენტრატს უგზავნიდნენ რუსთავის მეტალურგებს, ვიდრე ახლა უგზავნიან. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეშახტეებისაგან მიღებული კონცენტრატის გამოყენებისას მეტალურგებს, განსაკუთრებით მეკოქსეებს მეტი დაკვირვებისა და ოსტატობის გამოჩენა მოეთხოვებათ.

ტყიბულელი მეშახტეებისა და ჭიათურელი მაღაროელების თაოსნობა — რუსთავის მეტალურგებისათვის მეტი მადნის, ქვანახშირის კონცენტრატის და დამხმარე მასალების მიწოდების გასუმჯობესებლად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება მასების პატრიოტული სულისკვეთების, შრომითი თავდადებისათვის მზადყოფნის კიდევ ერთი გამოვლინებაა. პროფკავშირული ორგანიზაციების ღირსების საქმეა ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებითა და მხარდაჭერით ამ შეჯიბრებაში ჩაბან ყველა მეშახტე, ყველა მაღაროელი. შეჯიბრების ინიციატორებს ჯეროვნად უნდა გამოეხმაურონ ახალციხელ მეშახტეთა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივებიც, ყველა იმ საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული არიან რუსთავის მეტალურგებისათვის ნედლეულის და დამხმარე მასალების მიწოდების საქმესთან.

ეს იქნება ნამდვილი, საქმიანი, პატრიოტული პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებზე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ ვ. ვ. ივანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ვსევოლოდ ვიაჩესლავის-ძე ივანოვი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშ ს ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 1 მარტი.

ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 27 თებერვლის არჩევნების შედეგების შესახებ

ბიბლიოთეკა

კვირას, 1955 წლის 27 თებერვალს, მოხდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

კენჭისყრა ყველგან დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა ღამის 12 საათზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები მიმდინარეობდა უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, ამომრჩეველთა მაღალი აქტივობითა და დარაზმულობით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან მიიღო სრული ცნობები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ. საარჩევნო ოლქების ამომრჩეველთა საერთო რიცხვი შეადგენდა 2.367.525 კაცს, რომელთაგანაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.367.480 კაცმა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99-ზე მეტმა პროცენტმა.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ყველა საარჩევნო ოლქში ხმა მისცა 2.366.671 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,97 პროცენტს. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 778 ამომრჩეველმა. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 79-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად არის ცნობილი 31 ბიულეტენი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, განიხილა რა მასალები თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 38-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა ყველა საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

ქვემოთ მოთავსებულია არჩეულ დეპუტატთა სია.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სია

ქალაქი თბილისი

აბრამიშვილი ელენე ალექსის ასული — 300 არაგველის ოლქი.
ალექსიშვილი ტატიანა ივანეს ასული — პუშკინის ოლქი.
ანდრონიკაშვილი ელეფთერ ლუარსაბის-ძე — ტულგანინის ოლქი.
ბალანჩივაძე ანდრია მელიტონის-ძე — კლარა ცეტკინის ოლქი.
ბერეჟიანი დარია ივანეს ასული — ფიოლეტოვის ოლქი.
ბეროიანი მარიამ გიორგის ასული — ნასაკირალის ოლქი.
ბიბილაშვილი პელაგია ილარიონის ასული — ტარათაშვილის ოლქი.
ბურმისტროვა ნატალია მიხეილის ასული — კალინინის ოლქი.
გამცემლიძე ნინო ალექსანდრეს ასული — საბჭოთა ოლქი.
გელაშვილი დიმიტრი ვასილის-ძე — ავჭალის ოლქი.
გლადკოვი ვასილ თეოდორეს-ძე — ტოლსტოის ოლქი.
გრიგალაშვილი ბარბალე ნიკოლოზის ასული — რკინიგზის ოლქი.
ეპიტაშვილი ვახტანგ დიმიტრის-ძე — მარქსის ოლქი.
ვასაძე აკაკი ალექსის-ძე — კიროვის ოლქი.
ზავრიევი კირიაკ სამსონის-ძე — პეტრიწის ოლქი.
ილურიძე კონსტანტინე მიხეილის-ძე — ლენინის ოლქი.
კვაჭაძე ზინაიდა არსენის ასული — სამრეწველო ოლქი.
კიზივაძე ნიკოლოზ სევერიანეს-ძე — საქარხნო ოლქი.
კუდრიავცევი გიორგი ნიკოლოზის-ძე — კახეთის ოლქი.
კუპრაძე ვიქტორ დიმიტრის-ძე — ვაკის ოლქი.
მალენკოვი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე — 26 კომისრის ოლქი.
მამაცაშვილი დავით გიორგის-ძე — დიღმის ოლქი.
მაღრაძე მიხეილ კონდრატეს-ძე — ჯაფარიძის ოლქი.
მაცაბერიძე გაბრიელ ევგენის-ძე — ვოროშილოვის ოლქი.
მახარაძე შოთა ალექსანდრეს-ძე — საბურთალოს ოლქი.
მუავანაძე ვასილ პავლეს-ძე — ენგელსის ოლქი.
მიგრიაული ალექსანდრე ისაკის-ძე — კოჯრის ოლქი.
მოლოტოვი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე — მოლოტოვის ოლქი.
მრევლიშვილი თინათინ ნიკოლოზის ასული — კოლხიდის ოლქი.
მუხაძე გიორგი მიხეილის-ძე — მარჯანიშვილის ოლქი.
მუხიგულაშვილი პავლე მიხეილის-ძე — ლიკანის ოლქი.
მჭედლიძე დიმიტრი სიმონის-ძე — რუსთაველის ოლქი.
ოსკინა მარიამ ნიკოლოზის ასული — კომკავშირის ოლქი.
პეტრიაშვილი ვახტანგ ანდრიას-ძე — ჩელუსკინელების ოლქი.
რაზმაძე მარიამ ივანეს ასული — დიდუბის ოლქი.
როდომანჩენკო ნიკოლოზ ივანეს-ძე — ნავთლუღის ოლქი.
სირაძე ვიქტორია მოსეს ასული — დელისის ოლქი.
სულავა ნინო დანიელის ასული — გრიბოედოვის ოლქი.
სუხიშვილი ვლადიმერ თეოდორეს-ძე — სტალინის ოლქი.
ფედიუნინსკი ივანე ივანეს-ძე — ტელმანის ოლქი.
ქვლივიძე თამარ ნიკოლოზის ასული — მარტყოფის ოლქი.
ღამბაშიძე შალვა ქსენოფონტეს-ძე — ნინოშვილის ოლქი.
შევარდნაძე იპოკრატე ამბროსის-ძე — პისარევის ოლქი.
შელია ქეთევან გრიგოლის ასული — მერკვილაძის ოლქი.
ჩილინგარიანი ქნარიკ მისაკის ასული — გორკის ოლქი.
ჩოფიკაშვილი ელენე დავითის ასული — მიქოიანის ოლქი.
ჩუბინიძე მირონ დიმიტრის-ძე — შრომის ოლქი.
ჩხარტიშვილი სევერიანე კაპიტონის-ძე — შაუმიანის ოლქი.
ჩხეიძე დავით ნესტორის-ძე — მელიქიშვილის ოლქი.
ჩხიკვიშვილი დავით იოსების-ძე — მოსკოვის ოლქი.
ცაბაძე მარიამ ზაქარიას ასული — ლესელიძის ოლქი.
ცქიტიშვილი გიორგი კონსტანტინეს-ძე — მალენკოვის ოლქი.
წინამძღვრიშვილი მიხეილ დოროთეს-ძე — სტუდენტთა ოლქი.
ხვედელიანი იაკობ რომანის-ძე — დიმიტროვის ოლქი.
ხრუშჩოვი ნიკიტა სერგის-ძე — ორჯონიკიძის ოლქი.
ჯავახიშვილი გივი დიმიტრის-ძე — ქუთაისის ოლქი.
ჯავახიშვილი ნინო ალექსანდრეს ასული — ლადო კეცხოველის ოლქი.
ჯანელიძე ალექსანდრე ილარიონის-ძე — ძერჟინსკის ოლქი.

მცხეთის რაიონი

დავითაშვილი თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე — მცხეთის ოლქი.
ოქრუაშვილი მარიამ იოსების ასული — მუხრანის ოლქი.
სეხნიაშვილი გიორგი საბას-ძე — საგურამოს ოლქი.

კასპის რაიონი

ბასიაშვილი არტაშ ესტატეს-ძე — ქვემო ჭალის ოლქი.
კეჩხუაშვილი გაბრიელ ისაკის-ძე — ყარაღაჯის ოლქი.
პაპიაშვილი ვახტანგ იოსების-ძე — კასპის ოლქი.
შარაშიძე გივი ილიას-ძე — კავთისხევის ოლქი.
ჭირაქაძე არჩილ ვარლამის-ძე — ახალქალაქის ოლქი.

გორის რაიონი

ბუჯიაშვილი ნადეჟდა ივანეს ასული — შავშვების ოლქი.
ლელაშვილი მიხეილ მიხეილის-ძე — ატენის ოლქი.
რთველიაშვილი იოსებ გიორგის-ძე — ტყვიავის ოლქი.
საამიშვილი დიმიტრი ალექსანდრეს-ძე — მეჯვრისხევის ოლქი.
ძოწენიძე გიორგი სამსონის-ძე — შინდისის ოლქი.
ჯაშაშვილი მიხეილ ზაქარიას-ძე — კარალეთის ოლქი.

ქალაქი გორი

ბერიძე ეუეუნა სიმონის ასული — ლენინის ოლქი.
სამადელაშვილი ელენე ვასილის ასული — რკინიგზის ოლქი.
ტატიშვილი გიორგი ალექსის-ძე — სტალინის ოლქი.

ქარელის რაიონი

გელაშვილი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე — რუისის ოლქი.
ელბაქიძე ანა პეტრეს ასული — ზღუდერის ოლქი.
თვალჭრელიძე გიორგი გრიგოლის-ძე — აგარის ოლქი.
პოსპელოვი პეტრე ნიკოლოზის-ძე — ქარელის ოლქი.
როსტიაშვილი სერგო სავლეს-ძე — აბისის ოლქი.

ხაშურის რაიონი

ბარბაქაძე ილია პავლეს-ძე — ქვიშხეთის ოლქი.
ზამბახიძე გრიგოლ ნიკიფორეს-ძე — სტალინის საქალაქო ოლქი.
ლაშქარაშვილი თამარ ვასილის ასული — სურამის ოლქი.
მახარაშვილი ნადია იაგორის ასული — ლენინის საქალაქო ოლქი.
ქვლივიძე დიმიტრი ანდრიას-ძე — ალას ოლქი.
ხარაძე ევგენი კირილეს-ძე — გომის ოლქი.

ბორჯომის რაიონი

ბლიაძე გუგული ვასილის ასული — დვირის ოლქი.
ლომაშვილი ჯიბო ნიკოლოზის-ძე — წაღვერის ოლქი.
მამამთავრიშვილი დავით გრიგოლის-ძე — ბორჯომის ოლქი.

ახალციხის რაიონი

ბანიხი სტეფანე ანისიმეს-ძე — აწყურის ოლქი.
კაპანაძე კარპეზ სერაფიონის-ძე — ლენინის საქალაქო ოლქი.
კარტოზია არნოლდ თეიმურაზის-ძე — ვალეს ოლქი.
ტრდატიანი ზარუი მარტიროსის ასული — ჯაფარიძის ოლქი.

ადიგენის რაიონი

გველესიანი თამარ ვლადიმერის ასული — ადიგენის ოლქი.
ოლლიშვილი ლეონტი ალექსანდრეს-ძე — ახასთუმანის ოლქი.

ასპინძის რაიონი

კავაძე ვასილ ვარდენის-ძე — ასპინძის ოლქი.

ახალქალაქის რაიონი

ბლრციანი აკოფ არამის-ძე — ბარალეთის ოლქი.
მიქოიანი ანასტას ივანეს-ძე — ახალქალაქის საქალაქო ოლქი.
მოსოიანი ასტღიკ ენოქის ასული — ალასტანის ოლქი.
პაატაშვილი ვახტანგ ალექსანდრეს-ძე — ოკამის ოლქი.
ჯავახაძე ნიკოლოზ სტეფანეს-ძე — დილისკის ოლქი.

ბოგდანოვკის რაიონი

არზუმანიანი აზგანუშ სიმონის ასული — ბოგდანოვკის ოლქი.
კრამარი ვლადიმერ მიხეილის-ძე — განძის ოლქი.
ტულჩინი სერგი ნიკოლოზის-ძე — ჯიგრაშენის ოლქი.

დმანისის რაიონი

აგაევი აბას რიზას-ძე — ამამლოს ოლქი.
მიროტაძე რაფდენ დარისპანის-ძე — გომარეთის ოლქი.
სამედოვა ნანახანუმ მადათ ყზი — დმანისის ოლქი.

წალკის რაიონი

თოფფორიძე მიხეილ ესტატეს-ძე — ტეშტაშენის ოლქი.
მაკაროვი ათანასე კუზმას-ძე — ედიქილისის ოლქი.
პოღოსიანი ზავენ ნაზარის-ძე — ავრანლოს ოლქი.
ჩოგოვაძე გიორგი ირაკლის-ძე — წალკის ოლქი.

თეთრი წყაროს რაიონი

ზაბნინა ალექსანდრა ნიკიფორეს ასული — მანგლისის ოლქი.
მაისურაძე მიხეილ გიორგის-ძე — თეთრი წყაროს ოლქი.
ჩხეიძე ბეჟან ალექსანდრეს-ძე — ჯორჯიაშვილის ოლქი.
ჭანკოტაძე შალვა ლავრენტის-ძე — ასურეთის ოლქი.

ბოლნისის რაიონი

ალახვერდიევა ავა ოსმან ყზი — იმირასანის ოლქი.
კაციტაძე იოსებ სპირიდონის-ძე — ქვეშის ოლქი.
სუსლოვი მიხეილ ანდრიას-ძე — ქვემო ბოლნისის ოლქი.
ურუშაძე ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — ბოლნისის ოლქი.

მარნეულის რაიონი

მამედოვი ჯამალ ბალაჯა ოღლი — შაუმიანის ოლქი.
მელქაძე ვალერიან ირაკლის-ძე — შულავრის ოლქი.
ჩხეიძე მიხეილ ფილიპეს-ძე — სადახლოს ოლქი.
ხაჯა ზაალ ყზი — გიაურარხის ოლქი.
ჯიბლაძე ნიკოლოზ მელქისეს-ძე — მარნეულის ოლქი.

გარდაბნის რაიონი

დევდარიანი გიორგი მიხეილის-ძე — გარდაბნის ოლქი.
მამედოვა შახნიარ მუსტაფ ყზი — ქესალოს ოლქი.

ქალაქი რუსთავი

გიორგაძე ნესტორ ასალოს-ძე — მთავარი არხის ოლქი.
გომელაური ნიკოლოზ გიორგის-ძე — საქარხნო ოლქი.
სამცოვი ივანე ფილიპეს-ძე — რუსთავის საქალაქო ოლქი.
ჩალაძე ვასილ დიანოზის-ძე — შრომითი რეზერვების ოლქი.

ყაზბეგის რაიონი

შადური არჩილ ივანეს-ძე — ყაზბეგის ოლქი.

დუშეთის რაიონი

ბექაური ალექსა სიმონის-ძე — ბაზალეთის ოლქი.
ბურდული ოლოა გაბრიელის ასული — ჟინვალის ოლქი.
კეცხოველი ზაქარია ნიკოლოზის-ძე — დუშეთის ოლქი.
ნაზლაიძე შიო იაკობის-ძე — ფასანაურის ოლქი.

თიანეთის რაიონი

გონჯილაშვილი დავით სიმონის-ძე — თიანეთის ოლქი.
ყორეოკაშვილი გრიგოლ დავითის-ძე — ხევსურთსოფლის ოლქი.

საგარეჯოს რაიონი

გილაშვილი პავლე გიორგის-ძე — სართიჭალის ოლქი.
გოდერძიშვილი ქეთევან დიმიტრის ასული — საგარეჯოს ოლქი.
ქემოკლიძე ალექსანდრე სოლომონის-ძე — უჯარმის ოლქი.

კაჭრეთის რაიონი

გოგილაშვილი მანანა მიხეილის ასული — კაჭრეთის ოლქი.
მირიანაშვილი ვახტანგ ვასილის-ძე — არაშენდის ოლქი.
შანშიაშვილი ალექსანდრე (სანდრო) ილიას-ძე — ყანდაურის ოლქი.

გურჯაანის რაიონი

გიორგაძე მიხეილ პორფილეს-ძე — კარდანახის ოლქი.
დავითაშვილი არჩილ მალხაზის-ძე — შაშიანის ოლქი.
მაისურაძე თამარ სიმონის ასული — გურჯაანის საქალაქო ოლქი.
მუსერიძე ომარ დავითის-ძე — ჭანდრის ოლქი.
ძულიაშვილი რუსუდან დავითის ასული — ველისციხის ოლქი.

სიღნაღის რაიონი

ბიძინაშვილი ზაქარია მოსეს-ძე — წნორის ოლქი.
მესხიშვილი იოსებ ალექსანდრეს-ძე — სიღნაღის საქალაქო ოლქი.
მჭედლიშვილი დავით ვასილის-ძე — ანაგის ოლქი.
ნატროშვილი ელენე მოსეს ასული — ქვემო მაჩხაანის ოლქი.
უსუფაშვილი მარიამ ალოდიონის ასული — მაღაროს ოლქი.

წითელწყაროს რაიონი

ალავერდაშვილი მატრო დავითის ასული — არბოშიკის ოლქი.
ბერძენი ირაკლი ვლადიმერის-ძე — წითელწყაროს ოლქი.
ნატროშვილი დავით კონსტანტინეს-ძე — ზემოქედის ოლქი.

ლაგოდეხის რაიონი

ბაქრაძე პეტრე ნიკოლოზის-ძე — ვარდისუბნის ოლქი.
ლეონიძე გიორგი ნიკოლოზის-ძე — ბაისუბნის ოლქი.
ქემაშვილი მარიამ იორამის ასული — ლაგოდეხის ოლქი.
ყაველაშვილი ვლადიმერ ამბროსის-ძე — აფენის ოლქი.

ყვარლის რაიონი

ავაზაშვილი ალიხან ალექსის-ძე — მთისძირის ოლქი.
ბიძინაშვილი ეთერი ივანეს ასული — ყვარლის ოლქი.
გიგოშვილი არჩილ ალექსანდრეს-ძე — ახალსოფლის ოლქი.
ცისკარიშვილი ვასილ ალექსის-ძე — შილდის ოლქი.

თელავის რაიონი

ბოლქვაძე იოსებ დავითის-ძე — ლენინის საქალაქო ოლქი.
გელდიაშვილი ზაალ ბესარიონის-ძე — ნაფარეულის ოლქი.
ლაღიაშვილი ელენე ლაზარეს ასული — წინანდლის ოლქი.
ხაჩიძე ირაკლი ტარასის-ძე — სტალინის საქალაქო ოლქი.
ხუციშვილი ნინო ნიკოლოზის ასული — იყალთოს ოლქი.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სია

ახმეტის რაიონი

მეჯურჭლიშვილი ელენე პავლეს ასული — ახმეტის ოლქი.
რამაზაშვილი სოლომონ დავითის-ძე — ალვანის ოლქი.
უზუნაშვილი ზაქარია სიმონის-ძე — მატნის ოლქი.

ორჯონიკიძის რაიონი

კვინიკაძე ივლიონა თეოდორეს ასული — კიცხის ოლქი.
ლეჟავა ვერა ვლადიმერის ასული — ორჯონიკიძის ოლქი.
ლომიძე მიხეილ ყარამანის-ძე — მოლითის ოლქი.
ორჯონიკიძე პავლე ალექსანდრეს-ძე — ზორითის ოლქი.

ზესტაფონის რაიონი

არევაძე გიორგი ვასილის-ძე — სტალინის ოლქი.
კვანტრიშვილი ზიძინა არტემის-ძე — კვალითის ოლქი.
კეკელიძე ივანე გრიგოლის-ძე — შორაპნის ოლქი.
ფერაძე სავლე ნესტორის-ძე — ლენინის ოლქი.
ჩხიკვიშვილი ირაკლი იოსების-ძე — ზედა საქარის ოლქი.
ჩხობაძე პეტრე იოსების-ძე — ქვედა საქარის ოლქი.
ჯიბლაძე გიორგი ნიკოლოზის-ძე — მეორე სვირის ოლქი.

ჭიათურის რაიონი

აბესაძე პლატონ სილოვნის-ძე — სვერის ოლქი.
ბაქრაძე დავით ილიას-ძე — ნიგოზეთის ოლქი.
მელაძე ალექსანდრე ერასტის-ძე — ზოდის ოლქი.
სარალიძე დუნია კალენიკეს ასული — კაცხის ოლქი.

ქალაქი ჭიათურა

ფოფხაძე ტრიფონ ვარდენის-ძე — სტალინის ოლქი.
ხიდაშელი შოთა ვიქტორის-ძე — ვოროშილოვის ოლქი.

საჩხერის რაიონი

აბრამიშვილი იპოლიტე ზაქარიას-ძე — არგვეთის ოლქი.
დგებუაძე სოფიო ნიკოლოზის ასული — საჩხერის ოლქი.
დურმიშიძე სერგი ვასილის-ძე — კორბოულის ოლქი.
ჭახრაკია ნიკოლოზ ერმილეს-ძე — საირხის ოლქი.

თერჯოლის რაიონი

ობოლაძე ირაკლი ონისიმეს-ძე — საზანოს ოლქი.
სახელაძე პავლე პრამონის-ძე — თერჯოლის ოლქი.
ჯანელიძე თამარ აბესალომის ასული — ჩხარის ოლქი.

ქუთაისის რაიონი

კინწურაშვილი შურა ილიას ასული — ოფურჩხეთის ოლქი.
ქერქაძე ვლადიმერ გიორგის-ძე — გეგუთის ოლქი.
ჩიქოვანი ალექსი გრიგოლის-ძე — ოფშკვითის ოლქი.
ჭანკოტაძე ვახტანგ ლავრენტის-ძე — ქვედა სიმონეთის ოლქი.

ქალაქი ქუთაისი

აგაპოვი ანატოლი კაზიმირის-ძე — სტალინის ოლქი.
ბიბილეიშვილი ოთარ ანდრიას-ძე — მოლოტოვის ოლქი.
ბუკია ზორის სამსონის-ძე — წულუკიძის ოლქი.
გელენიძე სერგი გიორგის-ძე — რუსთაველის ოლქი.
გოცირიძე ოთარ დავითის-ძე — მალენკოვის ოლქი.
ვოროშილოვი კლიმენტ ეფრემის-ძე — კიროვის ოლქი.
პროვალოვი კონსტანტინე ივანეს-ძე — თბილისის ოლქი.
რუხაძე გრიგოლ მიხეილის-ძე — ლენინის ოლქი.
ხათრიძე ნინო სტეფანეს ასული — ხრუშჩოვის ოლქი.
ჯიმშელეიშვილი ელენე გიორგის ასული — წერეთლის ოლქი.

წყალტუბოს რაიონი

კიკვაძე მარგარიტა ივანეს ასული — ფარცხანაყანევის ოლქი.
ურუშაძე ვახტანგ ტარასის-ძე — წყალტუბოს საქალაქო ოლქი.
ჩავჩიძე შალვა ლუკას-ძე — წყალტუბოს სასოფლო ოლქი.

ტყიბულის რაიონი

ბაქრაძე პარმენ ერმაგონის-ძე — ორპირის ოლქი.
გუჯეჯიანი ზორის ივანეს-ძე — საწირის ოლქი.
პერვუხინი მიხეილ გიორგის-ძე — ტყიბულის ოლქი.
ცნობილაძე ერმაგონ მაქსიმეს-ძე — სტალინის ოლქი.

ამბროლაურის რაიონი

ბიჭაშვილი დარია არჩილის ასული — ამბროლაურის ოლქი.
კახიძე შალვა სიმონის-ძე — ჭელიაღელის ოლქი.
ჭელიძე გრიგოლ სიმონის-ძე — ჭრეხალოს ოლქი.

ონის რაიონი

რეხვიაშვილი შიო სარდიონის-ძე — უწერის ოლქი.
ტყეშელაშვილი ვერა კონსტანტინეს ასული — სორის ოლქი.
ჯაფარიძე ერმალო მინას-ძე — ონის საქალაქო ოლქი.

ლენტეხის რაიონი

დავითულიანი ვახტანგ კონსტანტინეს-ძე — ლენტეხის ოლქი.

ცაგერის რაიონი

ვასაძე შალვა ლუკას-ძე — ცაგერის ოლქი.
ტვილდიანი თინა გაბრიელის ასული — ალპანის ოლქი.
ჩაჩხიანი გრიგოლ გრიგოლის-ძე — ორბელის ოლქი.

წულუკიძის რაიონი

ბარაბაძე ნინო ნიკოლოზის ასული — ნახახულევის ოლქი.
იმედაძე აფრასიონ ილიას-ძე — ივანდიდის ოლქი.
კორძაძე ვასილ მიხეილის-ძე — წულუკიძის საქალაქო ოლქი.
ლორთქიფანიძე ზეკან ვლადიმერის-ძე — გორდის ოლქი.

სამტრედიის რაიონი

ასათიანი მიხეილ ერასტის-ძე — საჯავახოს ოლქი.
ნუცუბიძე ვასილ ზაქარიას-ძე — იანეთის ოლქი.
რობაქიძე გიორგი აბესალომის-ძე — დიდი ჯიხაიშის ოლქი.
ფანცულაია ნიკოლოზ ირაკლის-ძე — კულაშის ოლქი.
ქადაგიძე გრიგოლ ილიას-ძე — სამტრედიის საქალაქო ოლქი.
ხუჭუა როზა კირილეს ასული — გომის ოლქი.

ვანის რაიონი

ლაღიძე ილია ნიკიფორეს-ძე — ქვედა ვანის ოლქი.
ლილუაშვილი გიორგი მიხეილის-ძე — დიხამუხოს ოლქი.
მაღლაფერიძე ლუკა იოსების-ძე — ზეინდრის ოლქი.
ნაფეტვარიძე ქსენია ვლადიმერის ასული — შუამთის ოლქი.

მაიაკოვსკის რაიონი

გველესიანი გოგუცა არჩილის ასული — მაიაკოვსკის ოლქი.
ტაბატაძე ავთანდილ დავითის-ძე — წითელხევის ოლქი.
ჯაში ნიკოლოზ უშანგის-ძე — დიმის ოლქი.

ჩოხატაურის რაიონი

მეფარიშვილი ნინო სიმონის ასული — ჩოხატაურის ოლქი.
სიხარულიძე გიორგი ვასილის-ძე — დიხლაციხის ოლქი.
შატალინი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — ხიდისთავის ოლქი.

ლანჩხუთის რაიონი

დოლიძე სიმონ ბესარიონის-ძე — ლესის ოლქი.
კომახიძე ლოლა მოსეს ასული — სუფსის ოლქი.
სარიშვილი ივანე ფაუსტის-ძე — აცანის ოლქი.
ღლონტი ნესტორ ათანასეს-ძე — ლანჩხუთის ოლქი.

მახარაძის რაიონი

ბერძენიშვილი ნადეჟდა შალვას ასული — ზახვის ოლქი.
ორაგველიძე მიხეილ ფილიპეს-ძე — მერრიის ოლქი.
საბაშვილი დავით ხარიტონის-ძე — ნასაკირალის ოლქი.
ტაკიძე დარეჯან საბას ასული — ნატანების ოლქი.
ჭანუყვაძე შოთა ილარიონის-ძე — შემოქმედის ოლქი.
ჯიქია სოფიო ლევანის ასული — მახარაძის საქალაქო ოლქი.

აბაშის რაიონი

კაჭარავა რაჟდენ ალექსანდრეს-ძე — მარნის ოლქი.
კერძაია ოთარ სილოვნისტროს-ძე — აბაშის ოლქი.
რიგვავა სერგი ტარასის-ძე — სამიქაოს ოლქი.
ხოშტარია ივანე ალექსანდრეს-ძე — სუჯუნის ოლქი.

ცხაკაიას რაიონი

კელენჯერიძე ანტონ კირილეს-ძე — ცხაკაიას საქალაქო ოლქი.
ტყებუჩავა ტატიანა ექვთიმეს ასული — ნაქალაქევის ოლქი.
ჩიქობავა არნოლდ სტეფანეს-ძე — ნოსირის ოლქი.
ხუხია ვერა ლევანის ასული — მენჯის ოლქი.

ხობის რაიონი

კიკნაძე ლევან დავითის-ძე — ხეთის ოლქი.
ოკუჯავა ვენერა სამსონის ასული — საჯიჯაოს ოლქი.
ცომაია შოთა გერასიმეს-ძე — ხობის ოლქი.

ზუგდიდის რაიონი

მიქავა გრიგოლ კონსტანტინეს-ძე — დარჩელის ოლქი.
ნარმანია გვანჯი ჯანდუს-ძე — ციაშის ოლქი.
როგავა ანთიმოზ მიხეილის-ძე — ორჯონიკიძის ოლქი.
ქრისტესაშვილი გრიგოლ ანდრიას-ძე — სტალინის ოლქი.
ღვინჯილია მიხეილ ბაგრატის-ძე — მალენკოვის ოლქი.
ყუფუნია თამარ ანდრიას ასული — ლენინის ოლქი.
ჩილაჩავა შალვა ილიას-ძე — ნარაზენის ოლქი.
ჯაბუა გიორგი ანდრიას-ძე — რუხის ოლქი.

წალენჯიხის რაიონი

კვარაცხელია ვიქტორ სტეფანეს-ძე — წალენჯიხის ოლქი.
ნარსია მიხეილ ბახვას-ძე — ჯგალის ოლქი.
შონია სოფიო ძოკის ასული — ლიის ოლქი.

ჩხოროწყუს რაიონი

სიჭინავა მანუჟა ბახვას ასული — ჩხოროწყუს ოლქი.
ცანავა მიხეილ ვასილის-ძე — ხაბუმის ოლქი.

გეგეჭკორის რაიონი

ალავიძე გიორგი არტემის-ძე — თამაკონის ოლქი.
კეკელია თამარ საჩინოს ასული — ბანძის ოლქი.
საბაოროვი მაქსიმე ზაქარიას-ძე — გეგეჭკორის ოლქი.
შეროზია გიორგი ნესტორის-ძე — დიდიჭყონის ოლქი.

მესტიის რაიონი

ჩხუბიანიშვილი ზაქარია ნიკოლოზის-ძე — ხაიშის ოლქი.
ჭკადუა სოსო ფილიმონის-ძე — მესტიის ოლქი.

ქლუხორის რაიონი

ჩხეტიანი ალექსანდრე გიორგის-ძე — ქლუხორის ოლქი.

ქალაქი ფოთი

ანტონოვი მიხეილ ივანეს-ძე — პირველი საქალაქო ოლქი.
კაზაკევიჩი ანასტასია კუზმას ასული — მეოთხე საქალაქო ოლქი.
შენგელია აქვსენტი სამსონის-ძე — მესამე საქალაქო ოლქი.
ცომაია ანდრია თომას-ძე — მეორე საქალაქო ოლქი.

აფხაზეთის ასსრ

ალანია სოკრატ ნიკოლოზის-ძე — ოჩამჩირის საქალაქო ოლქი.
ანდრეევი დიმიტრი ივანეს-ძე — კვეზანის ოლქი.
არჯენია მაქსიმე სერგის-ძე — ბაბუშარის ოლქი.
არძინბა მარიამ კუკუნის ასული — გუდაუთის ოლქი.
ახალაია ივანე ეგნატეს-ძე — გალის ოლქი.
ბასილაია მარიამ პეტრეს ასული — ბესლეთის ოლქი.
ბერულავა გიორგი ივანეს-ძე — ნაბაკევის ოლქი.
ბესლანეი ალექსი ახმედის-ძე — ბარმიშის ოლქი.
ბონდარევი ანდრია ივანეს-ძე — განთიადის ოლქი.
ბულისკერია ნათელა ნესტორის ასული — ოქუმის ოლქი.
დოლიძე შოთა ანდრიას-ძე — ნაკადულის ოლქი.
ეშბა გრიგოლ თომას-ძე — ტამიშის ოლქი.
თოლორაია მარიამ დავითის ასული — მერხეულის ოლქი.
ისაევი ზორის მიხეილის-ძე — სტალინის ოლქი.
კაგანოვიჩი ლაზარე მოსეს-ძე — სოხუმის ლენინის ოლქი.
კაპბა ირინე ლეონტის ასული — გაგრის ოლქი.
კემულარია ნიკოლოზ ბაგრატის-ძე — ხრუშჩოვის ოლქი.
ლეონტიევა მატრონე თეოდორეს ასული — აჩიგვარის ოლქი.
მარკოსიანი ვაჟან აიტიხის-ძე — წებელდის ოლქი.
მეტრეველი ასპიროზა გიგოს ასული — სოხუმის ოლქი.
მიქაუტაძე ნინო ზაქარიას ასული — ალახადის ოლქი.
ნაზაძე ლუბა კონსტანტინეს ასული — კალინინის ოლქი.
როგონიანი აზატ მკრტიჩის ასული — შრომის ოლქი.
სკრებნევი თეოდორე ივანეს-ძე — აკარმარის ოლქი.
ქავთარაძე ოთარ ალექსანდრეს-ძე — მოქვის ოლქი.
ქანთარია მელიტონ ვარლამის-ძე — ოჩამჩირის სასოფლო ოლქი.
ღვინჯილია თენგრო დიმიტრის ასული — დრანდის ოლქი.
შამბა ლუბა კუჭოს ასული — ლიხნის ოლქი.
ჩოლარია ლილი ივანეს ასული — ფოქვეშის ოლქი.
ცატუროვი ალექსანდრე ტიგრანის-ძე — ტყვარჩელის ოლქი.
ჭოჭუა ანდრია მაქსიმეს-ძე — გუმისთის ოლქი.
ჯანჯღავა ვარლამ სოსრამის-ძე — ახალი ათონის ოლქი.
ჯაფარიძე უჩა (ილია) მალაქიას-ძე — ჭუბურხინჯის ოლქი.

აჭარის ასსრ

აბუსელიძე სულთან რეჯების ასული — შუახევის ოლქი.
ანნიძე მუნტაპა მეჯიდის ასული — ცხმორისის ოლქი.
ბაქრაძე მურმან ხემდის-ძე — აჭარისწყლის ოლქი.
ბერიძე არჩილ მიხეილის-ძე — ქედის ოლქი.
ბულგანინი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე — ფრუნზეს ოლქი.
გორიუნოვა ტაისია პეტრეს ასული — საქარხნო ოლქი.
დავითაძე ლევან მიხეილის-ძე — სხალთის ოლქი.
დოლიძე ისიდორე სამსონის-ძე — ხულოს ოლქი.
დუმბაძე ფათუშა დავითის ასული — სტალინის ოლქი.
ლავასასი ქრისტო ელეფთერის-ძე — მუხაესტატეს ოლქი.
ლომაძე კარლო მელენტის-ძე — ჩაქვის ოლქი.
მარგველაშვილი ილია იოსების-ძე — ჩაისუბნის ოლქი.
პაქსაძე მემედ მუჰამედის-ძე — დიოკნისის ოლქი.
ყიფაკაძე ასმათ (აიშე) ყეზეთის ასული — ქობულეთის ოლქი.
სანიკიძე ვლადიმერ კირილეს-ძე — ჯაფარიძის ოლქი.
ტკაჩოვი სერგი პავლეს-ძე — ზღვისპირა ოლქი.
უკლება ლევან მიხეილის-ძე — ლენინის ოლქი.
შავიშვილი კიტა ნიკოლოზის-ძე — გორკის ოლქი.
წოთელაძე რაბიე ხულეიმანის ასული — კახაბრის ოლქი.
ჯინჭარაძე გული ოსმანის ასული — ხუცუბნის ოლქი.

საძმრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

გაზაევი ვლადიმერ ისაკის-ძე — სტალინის ოლქი.
ერისთავი კონსტანტინე დავითის-ძე — ავნევის ოლქი.
კოზაევი ვლადიმერ დიმიტრის-ძე — ზნაურის ოლქი.
სანაკოევი ვასილ გიორგის-ძე — სტალინირის სასოფლო ოლქი.
უზნაძე იოსებ ზაქარიას-ძე — წინაღარის ოლქი.
ქრისტესიაშვილი იასონ ილიას-ძე — ქსუისის ოლქი.
ჩოჩიევა ნინო სოლომონის ასული — მალენკოვის ოლქი.
ცაგარეიშვილი პეტრე კონსტანტინეს-ძე — კვაისის ოლქი.
ძაგოევი გიორგი იოსების-ძე — ლენინგორის ოლქი.
ჯიოევა ნასტია მუტის ასული — ჯავის ოლქი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ა. ბულგანინის წარდგინების თანახმად თავისი გადაწყვეტილებით:

ა) გაათავისუფლა ამხ. ა. თ. ზასიადკო სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრად პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ზადემიდკო.

ბ) გაათავისუფლა ამხ. ა. ი. კოზლოვი სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მოვალეობისაგან, რადგან მან თავი ვერ გაართვა მუშაობას.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრად პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ივანე ალექსანდრეს-ძე ბენედიქტოვი, გაათავისუფლა რა იგი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან.

ცნობა

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 27 თებერვლის არჩევნების შედეგების შესახებ

კვირას, 1955 წლის 27 თებერვალს, მოხდა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

კენჭისყრა ყველგან დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა ღამის 12 საათზე.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები მიმდინარეობდა უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, ამომრჩეველთა მაღალი აქტივობითა და დარაზმულობით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყველა საოლქო საარჩევნო კომისიისაგან მიიღო სრული ცნობები აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ. საარჩევნო ოლქების ამომრჩეველთა საერთო რიცხვი შეადგენდა 222.724 კაცს, რომელთაგან აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 222.724 კაცმა, ე. ი. ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ყველა საარჩევნო ოლქში ხმა მისცა 222.615 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,95 პროცენტს. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 105 კაცმა, ანუ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,05 პროცენტმა. „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 79-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად არის ცნობილი 4 ბიულეტენი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, განიხილა რა მასალები თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით, „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 38-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა ყველა საარჩევნო ოლქში არჩეული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ცნობა

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 27 თებერვლის არჩევნების შედეგების შესახებ

კვირას, 1955 წლის 27 თებერვალს, მოხდა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

კენჭისყრა ყველგან დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა ღამის 12 საათზე.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები მიმდინარეობდა უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, ამომრჩეველთა მაღალი აქტივობითა და დარაზმულობით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყველა საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან მიიღო სრული ცნობები აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ. საარჩევნო ოლქების ამომრჩეველთა საერთო რიცხვი შეადგენდა 144.952 კაცს, რომელთაგან აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 144.952 კაცმა, ე. ი. ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ყველა საარჩევნო ოლქში ხმა მისცა 144.900 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,96 პროცენტს. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 52 კაცმა, ანუ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,04 პროცენტმა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, განიხილა რა მასალები თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით, „აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 38-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა ყველა საარჩევნო ოლქში აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მცირე სატელევიზიო ცენტრი ყაზანში

ყაზანი. (საკადესი). დაიწყო ყაზანის მცირე სატელევიზიო ცენტრის საცდელი გადაცემები. ეს სატელევიზიო ცენტრი აქ შეიქმნა მოყვარულთა და სპეციალისტთა ჯგუფის მეცადინეობით. ტელევიზორები დადგმულია არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რადიოკლუბში, უნივერსიტეტში, ელექტროკავშირგაბმულობის ტექნიკუმში. სატელევიზიო ცენტრის პირველ პროგრამას დიდი ინტერესით შეხვდა ქალაქის ათასობით მშრომელი.

მინიატიურული პიანინო

ლენინგრადი. (საკადესი). ლენინგრადის ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის სახელობის კონსერვატორიის კლასში შევიდა ინჟინერი ე. ვ. იუდინი და ორი პატარა ჩემოდანი შეიტანა. როცა ჩემოდნები გახსნეს, აღმოჩნდა, რომ ეს იყო მუსიკალური ინსტრუმენტი. მისი აკომპანემენტით კლასში დაიწყო გუნდის დირიჟორობის გაკვეთილი.

ეს ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი — პორტატიული ჰარმონიუმი „უნიონი“ — შექმნეს ინჟინერმა ე. ვ. იუდინმა, საესტრადო ორკესტრის მუსიკოსმა ს. ვ. ივანოვმა და ოსტატმა მომმართველმა ვ. ა. ოსტროვსკიმ. ჰარმონიუმი, რომელიც მინიატიურულ პიანინოს მოგვაგონებს, იწონის 20 კილოგრამს, შედგება ორი ნაწილისაგან — მუსიკალურისაგან, სადაც დამონტაჟებულია მთელი მექანიზმი, და დასაკეცი დასადგამისაგან.

კონსტრუქტორებს დასახული ჰქონდათ ძირითადი მიზანი — შეექმნათ იმ საკონცერტო ბრიგადებისათვის, რომლებიც სოფელ ადგილებში და ყამირ მიწების ხთვისების რაიონებში დადიან, ადვილად გადასატანი ინსტრუმენტი.

ჰარმონიუმის ხარისხი განიხილეს ლენინგრადის მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკების „კრასნი ოტიაბრის“ და „კრასნი პარტიზანის“ ექსპერტთა საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის თეატრალური და მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, კლუბების, მუსიკალური სკოლების მუშაკებმა, მხატვრული თვითმოქმედების წრეების ხელმძღვანელებმა, მუსიკოსებმა. მათ აზრი გამოთქვეს, რომ საჭიროა მასობრივად დამზადდეს ასეთი ჰარმონიუმები.

მეტი მადანი, ქვანახშირის კონცენტრატი რუსთავის მეტალურგებს

ᲬᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ტყვარჩელში საყოველთაო მოწონება გამოიწვია ტყიბულელი მეშახტეების მოწოდებამ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ქვანახშირის მაღალხარისხოვანი კონცენტრატის მიწოდების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის სამდოთა კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. კმაყოფილებით გაეცნენ ტყვარჩელელები აგრეთვე ჭიათურელი მაღაროელების დაპირებას, რომ, ებმებიან რა ამ შეჯიბრებაში, ისინი რუსთავის მეტალურგებს მიაწვდიან იმდენ მარგანეცს, რამდენიც საჭირო იქნება.

ტყიბულელ მეშახტეთა მოწოდებისა და ჭიათურელთა გამოხმაურების განსახილველად ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ყველა შახტში გაიმართა მეშახტეთა კრებები. კრებებზე მეშახტეები გაეცნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელებისა და მოწინავე ადამიანების წერილს მათი ქარხნისათვის მეტი მადნის, ქვანახშირის კონცენტრატისა და დამხმარე მასალების მიწოდების გადიდების საჭიროების შესახებ.

ტყვარჩელელმა მეშახტეებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა ერთხმად გადაწყვიტეს ქვანახშირის ამოღების 1955 წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის ახალი. ძალით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება და წელს ქვეყანას მისცენ 57 ათასი ტონით მეტი ქვანახშირი, ვიდრე გასულ წელს.

ამ მიზნის მისაღწევად მეშახტეებმა იკისრეს ციკლური გრაფიკით მუშაობაზე დამატებით გადაიყვანონ ათი ლავი, საგრძნობლად გააფართოონ საშახტო მექანიზმების გამოყენება, სანგრევში შეიტანონ და აამუშაონ ორი კომბაინი „დონბასი“, ერთი კომბაინი „გორნიაკი“, რვა მძიმე საყელავი მანქანა, მეოთხე შახტის საკარიერო უბნებზე ექსკავატორებისა და ბულდოზერების საშუალებით მოახდინონ მოპოვებითი სამუშაოების მთლიანი მექანიზაცია, მოსამზადებელ გამონამუშევრთა გაყვანაზე გამოიყენონ ოთხი ქანსატვირთავი მანქანა.

მეშახტეების ვალდებულებაა აგრეთვე გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების გადიდებას 3 პროცენტით და უზრუნველყონ სამთო მექანიზმების სრული სამძლავრით ათვისება, ქვანახშირის ნაცრიანობის 0,3 პროცენტით შემცირება და ამით მიაღწიონ საკავშირო კონცენტრატის ხარისხის ამაღლებას.

ცენტრალური გამაუჯერებელი ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წელს უზრუნველყოს 370 ათასი ტონით მეტი ქვანახშირისა და 120 ათასი ტონით მეტი კონცენტრატის გამოშვება, ვიდრე შარშან, ამასთან შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდების, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის განხორციელებისა და არასაწარმოო ხარჯების შემცირების შედეგად მიაღწიოს ტონა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებას სულ ცოტა 1 მანეთით და 92 კაპ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ პირობად მეშახტეებმა გაითვალისწინეს თავიანთი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. მათ გადაწყვიტეს წელს მეშახტეთა სხვადასხვა საცხოვრებელ უბანში გაიყვანონ წყალსადენი და მუშათა შესასახლებლად გადასცენ რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ი. ᲑᲝᲒᲝᲩᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ხიდნალის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა. ნიადაგის მომზადება საგაზაფხულო კულტურების დასათესად.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ

ამიერკავკასიის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ტერიტორიული სამმართველო დიდ დახმარებას უწევს საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სს რესპუბლიკების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ნათესებში სასუქების შეტანისა და მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის საქმეში.

სამმართველომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კოლმეურნეობების 80 ათას ჰექტარ საშემოდგომო ნათესებში უნდა შეიტანოს სასუქი საჭირო რაოდენობით. ელდარის საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი მეურნეობაა საქართველოში, ავიაციის საშუალებით უკვე შეტანილია სასუქი 1.000 ჰექტარ საშემოდგომო ნათესებში. ავიაციის საშუალებით სასუქების შეტანა დაწყებულია სიღნაღისა და თელავის რაიონების კოლმეურნეობათა ნათესებში. კარგად მუშაობს სასოფლო-სამეურნეო ავიაცია აზერბაიჯანის საკოლმეურნეო მინდვრებზე, უკვე 10 ათას ჰექტარ საშემოდგომო ნათესებში შეიტანა სასუქები. გაცხოველებით მიმდინარეობს მზადება სომხეთის სს რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებში სასუქების შესატანად.

გასულ წელს იმ ნაკვეთებიდან, რომელშიც სასუქი შეტანილ იქნა სასოფლო-სამეურნეო ავიაციის საშუალებით, ჰექტარზე 4 ცენტნერით მეტი მოსავალი მიიღეს, ვიდრე იმ ნაკვეთებიდან, რომლებშიც სასუქი ხელით შეიტანეს.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავები ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ეწევიან აგრეთვე ბრძოლას სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ. მათ უნდა შეწამლონ 30 ათასი ჰექტარი ვენახები და ბაღები.

საკოლმეურნეო ნათესების ავიაციის საშუალებით დამუშავებაში განსაკუთრებით გამოჩინეს თავი ნ. ქოჩაროვმა, ი. ტარასაშვილმა, გ. ბურდულმა და რ. ბლაგონრავოვმა.

ᲐᲦᲕᲙᲕᲔᲗᲝᲗ ᲣᲛᲡᲒᲐᲕᲡᲝᲔᲑᲐᲜᲘ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ

საბჭოთა ვაჭრობის წესები უხეშად ირღვეოდა, ფასები მახინჯდებოდა, მომხმარებელს ზომასა და წონაში ატყუებდნენ, იშვიათად უბრუნებდნენ ბურდას. დამნაშავეთა გამოვლინებას და ღირსეულად დასჯას აჭიანურებდნენ. დანაშაულის წარმომშობი მიზეზების შესწავლას და ამ მიზეზების ძირფესვიანად აღმოფხვრას მეტწილად გვერდს უვლიდნენ, მეორეხარისხოვან დამნაშავეთა დასჯით კმაყოფილდებოდნენ. ასე იყო ორიოდე წლის წინათ თელავის რაიონის საავაჭრო ორგანიზაციების ქსელში. ეს დარღვევები და სხვა უმსგავსოებანი მხილებულ იქნა. თელავის პარტიულმა, საბჭოთა და საავაჭრო ორგანიზაციებმა მდგომარეობის გამოსასწორებლად ღონისძიებებიც დასახეს, მაგრამ ამ ღონისძიებებს ეფექტიანი შედეგი არ მოჰყოლია.

დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს.

წინანდლის მუშათა კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ იოსებ ზატიკაშვილმა იმავე მუშათა კოოპერატივის სასადილოს გამგის ს. იაგორაშვილის დახმარებით თელავის რაისაბჭოს აღმასკომის აღგილობრივი მრეწველობის კომბინატიდან მუშებისათვის მისაყიდად 1.450 კილოგრამი ყურძენი თავის მარანში შეიტანა, დაბალი ხარისხის ყურძენი მიუმატა, დაწურა და საკუთარი მოგების მიზნით ღვინის გაყიდვა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. ი. ზატიკაშვილის მიერ ჩადენილი ეს და ასეთი ხასიათის სხვა უმსგავსოებანი საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. თელაველი კომუნისტები მოელოდნენ ბოროტმოქმედის ღირსეულად დასჯას, მაგრამ ასე არ მოხდა. რაიკომის ბიურომ თანამდებობის ბოროტად გამოყენების, ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევისა და სხვა დანაშაულობათა გამო ზატიკაშვილი სამუშაოდან მოხსნა და საყვედურის გამოცხადება აკმარა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ესეც დაივიწყა, და რაიკომიდანვე გაგზავნილი კერძო მიწერილობის საფუძველზე ზატიკაშვილი წინანდლის მუშათა კოოპერატივის საწყობის გამგედ დანიშნეს.

შარშან წინანდლის სოფლის კოოპერატივის კისისხევის მაღაზიის გამგეგამყიდველს ბ. ათაბეგოვს 34.075 მანეთი „შემოეხარჯა“, ამასთან მაღაზიაში 3.214 მანეთის 20 სახეობის უფაქტურო ღილები აღმოაჩნდა. ათაბეგოვმა მაღაზიის გადახარებისას „შემოხარჯული“ თანხის შემცირების მიზნით საქონლის ფასებს 4.397 მანეთი წაუმატა. იგი სისტემატურად ამახინჯებდა ფასებს. ასეთი დამახინჯების 21 ფაქტი დაუდასტურდა. თელავის რაიონის პროკურატურამ (პროკურორი მ. მამუჩაშვილი) ათაბეგოვის მიერ გაფლანგული თანხის ოდენობა და ფასების დამახინჯების ფაქტებიც დაადასტურა, მაგრამ არც პროკურატურამ და არც თელავის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლემ ნ. შიუკაშვილმა რატომღაც არ იზრუნეს იმისათვის, რომ გამოერკვიათ, ვინ მიიტანა მაღაზიაში უფაქტურო ღილები და ვინ იყო ამ ღილების მწარმოებელი.

წინანდლის სასოფლო მაღაზიის საგალანტერეო სექციაში გამყიდველ ქეთია მსუქნიშვილს 16.972 მანეთის დანაკლისი აღმოაჩნდა. ამასთან ერთად მას სექციაში 4.022 მანეთის უფაქტურო ღილები უპოვნეს. პროკურორმა ვერც ამ შემთხვევაში იმოქმედა ენერგიულად. მართალია, შარშან ივნისში წარდგინება გაგზავნა პარტიის თელავის რაიკომში და ქსელში უფაქტურო ღილების შეტანისათვის წინანდლის სოფლის კოოპერატივის საწყობის გამგის კომუნისტ გ. გემაზაშვილის საკითხის განხილვა ითხოვა, მაგრამ ეს იყო და ეს. გასული წლის ივნისის შემდეგ მიმდინარე წლის 6 თებერვლამდე ამ საკითხზე თავი არავის შეუწუხებია.

ათაბეგოვისა და მსუქნიშვილის საქმეებიდან ნათლად ჩანს, რომ რაიონის პროკურორი ამხ. მ. მამუჩაშვილი და მოსამართლე ამხ. ნ. შიუკაშვილი დაინტერესებული არ არიან საავაჭრო ქსელში უფაქტურო ღილების შეტანისათვის მთავარ დამნაშავეთა გამოვლენითა და დასჯით. სასამართლოში მსუქნიშვილმა ხმამაღლა განაცხადა, ჩემი უფროსები მაიძულებდნენ უფაქტურო ღილებით ვაჭრობასო, და დამნაშავეებიც დაასახელა. მოსამართლემ, რომელსაც არ სურდა დამნაშავეთა დასჯა გადაწყვიტა თავიდან აეცილებინა საქმე.

თელავის რაიონის საავაჭრო ორგანიზაციებში წელსაც მრავალი დანაშაულობა, დარღვევები და ნაკლოვანებებია. რაიკოოპკავშირის ქსელში გაფლანგვა-დატაცებით მიყენებული ზარალი შემცირების ნაცვლად კიდევაც გადიდდა.

ხშირია უყაირათობით გამოწვეული ზარალი და ხარჯები. თელავის გარეუბნის სოფლის კოოპერატივი (გამგეობის თავმჯდომარე ა. თვალიაშვილი) ტარის ჩაუბარებლობის გამო 7.800 მანეთით დააჯარიმეს. ცეკავშირმა კოოპერატივის გამგეობას დაავალა გამოვლინებინა ტარის ჩაუბარებლობაში დამნაშავეები და აღნიშნული თანხა მათთვის გადაეხდევინებინა. კოოპერატივის გამგეობამ ეს დავალება „ოდლად“ შასრულა: 7.800 მანეთი ჯარიმა ხარჯებში გაატარა.

რაიკოოპერატივის მაღაზიებისა და დუქნების უმეტესობა შესაფერის შენობებშია, მაგრამ ვიტრინები ბევრგან უგემოვნოდ და უსისტემოდ არის გაფორმებული. ქსოვილები თაროებზეა დაყრილი. მოუვლელობის გამო საქონელი ხშირად ისე ფუჭდება, რომ გადასამუშავებელი და ზოგჯერ გადასაყრელიც ხდება.

გარეუბნის სოფლის კოოპერატივის იყალთოს სასოფლო მაღაზიაში ბრეშუმის საბანი მეოთხე წელია დევს, არ იყიდება, რადგან საბნის პირი მოუვლელობის გამო დახეულია. მიუხედავად ამისა, საბანს დატოვებული აქვს პირველი ხარისხი და ამ ხარისხის შესაბამისი ფასიც. წინანდლის სასურსათო დუქანში ამას წინათ 2.635 მანეთის გაფუჭებული პროდუქტები გადაყარეს. ამ თანხის მცირედი ნაწილი მართალია გამყიდველს გადაახდევინეს, მაგრამ დანარჩენ სახელმწიფომ იზარალა.

საქონლის ჭარბი რაოდენობით შეტანის და მოუვლელობის გამო გაფუჭების ხშირი შემთხვევებია საქვაჭრობის თელავის განყოფილების ქსელში. განყოფილების ცენტრალურ საწყობში 54.585 მანეთის დაობებული, საჭმელად უვარგისი მარგარინი და მოკალადი აღმოჩნდა. ეს იციან საქვაჭრობის დირექციასა და საქართველოს სს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროში, მაგრამ დღემდე არავითარ ზომებს არ იღებენ.

ზოგიერთი სოფლის კოოპერატივის გამგეობა საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას პირველი რიგის ამოცანად არ თვლის, გეგმის შესასრულებლად ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებს. ეს ითქმის პირველ რიგში წინანდლის სოფლის კოოპერატივზე, რომელმაც იანვრის გეგმის შესრულებას 40 ათასი მანეთი დააკლო. წინანდლის მუშათა კოოპერატივმა (გამგეობის თავმჯდომარე თ. ხახუტაშვილი) იანვრის გეგმა მხოლოდ 89,4 პროცენტით შეასრულა.

თელაველ მომხმარებელთა აღშფოთებას იწვევს გამყიდველთა მიერ ზომა-წონაში მოტყუების, ხურდის მითვისების ხშირი შემთხვევა. უკანასკნელ ხანს ამ მახინჯ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლა რამდენადმე გაძლიერდა, მაგრამ მაინც ვხვდებით მომხმარებლის აბუჩად აგდების, ზომა-წონაში მოტყუების, წამგლეჯობის ფაქტებს. ფშავლის სასურსათო მაღაზიაში გამყიდველმა ს. რამაზაშვილმა კოლმეურნე მარიამ მორბედაძეს მარილზე 100 გრამი დააკლო. საქვაჭრობის თელავის განყოფილების პურის სპეციალიზებულ მაღაზიაში ხურდას იშვიათად უბრუნებენ მომხმარებელს. მაღაზიის გამგე-გამყიდველმა ა. იორამაშვილმა გ. შერემეტინას 60 კაპიკი არ დაუბრუნა. ხურდის დაუბრუნებლობის შემთხვევებია საქვაჭრობის № 27 მაღაზიაშიც. გარეუბნის სოფლის კოოპერატივის რუისპირის მაღაზიაში (გამყიდველი ო. ენუქაშვილი) 38 მანეთად ღირებულ საბავშვო ფეხსაცმელს 40 მანეთად ჰყიდდნენ, ხოლო 25 მან. 80 კაპიკად ღირებულს — 26 მან. 70 კაპიკად. წინანდლის სასურსათო მაღაზიაში გამყიდველი ვ. ხანჯალაშვილი 50-გრამიან ჩაის 3 მანეთისა და 07 კაპიკის ნაცვლად 3 მანეთად და 47 კაპიკად ჰყიდის.

წამგლეჯობა, მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუება და სხვა უმსგავსოებანი იმის შედეგია, რომ ვაჭრობის მუშაკთა, კერძოდ დაზლის მუშაკთა შერჩევას, მათ შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას აქ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. მუშაკებს არჩევდნენ არა პირადი ღირსების, არამედ ნაცნობობისა და ძმაკაცობის მიხედვით. მაგალითად, წინანდლის სოფლის კოოპერატივის წინანდლის სასოფლო მაღაზიის გამგე კომუნისტი რ. ათაბეგოვი, რომელმაც მაღაზიაში უფაქტურო ღილები მიიღო და თავისი ნასამართლევი ძმის საკონფისკაციო მსუბუქი ავტომანქანის მისაკუთრება სცადა, სამუშაოდან მოხსნისა და პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად სოფელ აკურის მაღაზიის გამგედ გადაიყვანეს.

უკანასკნელ ხანებში თელავის საავაჭრო ორგანიზაციებში ენერგიული მუშაკები გაიგზავნენ, მაგრამ ეს როდი ყმარა. ჩამოთვლილი ნაკლოვანებანი და მახინჯი მოვლენები მანამდე არ აღმოიფხვრება, სანამ თელავის საავაჭრო ორგანიზაციები კიდევ უფრო არ განმტკიცდება შემოწმებული და უნარიანი კადრებით.

Გ. ᲮᲔᲜᲓᲒᲐᲕᲐ,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.
Ლ. ᲥᲝᲩᲚᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲐᲒᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის სამინისტრო აფრთოვებს აგურისა და კრამიტის გამოშვებას ძირითადად საკოლმეურნეო მშენებლობისათვის. წელს გეგმით უნდა გამოუშვან 50 მილიონი ცალი აგური და 8 მილიონი ცალი კრამიტი.

გადიდებული დავალების წარმატებით შესრულებისათვის აგურისა და კრამიტის ქარხნებში ხორციელდება გამოსაშვავი ღუმელებისა და საშრობი მეურნეობის რეკონსტრუქცია. აგურის გამოსაწვავი ახალი მექანიკური ღუმელები აშენებულია ვანში, ქარელში, სიღნაღში, ხობში, თელავში, ცაგერში, ქუთაისში, საგარეჯოში. ხელოვნური საშრობები შენდება სამტრედიაში, მცხეთაში და წულუკიძეში. საჩხერის რაიონში დაწყებულია სილაცემენტის კრამიტის ქარხნის მშენებლობა, რომელიც წლის მეორე ნახევარში დაიწყებს პროდუქციის გამოშვებას. მისი წლიური წარმადობა იქნება 1 მილიონი ცალი კრამიტი. გორში, სამტრედიაში და მცხეთაში მიმდინარეობს აგურის ქარხნების მშენებლობა, რომელიც 1956 წელს დამთავრდება. თვითეული ქარხანა წელიწადში გამოუშვებს 3 მილიონ ცალ აგურს.

აგურისა და კრამიტს ყველა ქარხანაში მოწყობილია შიდასაქარხნო ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები. სამინისტრომ დასახა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი აგურისა და კრამიტის ქარხნების შეუფერხებელი მუშაობისათვის. თბილისის მექანიკური ქარხნები რაიონების საწარმოებისათვის ამზადებენ სათადარიგო ნაწილებს. სოფლად არსებული აგურის ქარხნების მუშები კვალიფიკაციას იმაღლებენ თბილისის მოწინავე აგურის ქარხნებში.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში წარმოებს წიაღისეულის ძიება და მისი შესწავლა ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების გაფართოების მიზნით.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ და ძირითად მეთოდს, როგორც ცნობილია, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლა წარმოადგენს. თბილისის სტალინის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მიმდინარე სასწავლო წელს გაითვალისწინა ყველა ის ნაკლი და შეცდომა, რაც გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემას ახასიათებდა. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მტკიცედ დაეცვათ ნებაყოფლობის პრინციპი პარტიულ სწავლებაში.

პარტიული აქტივის კრებამ, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ მოეწყო, გამოამჟღავნა ცალკეული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი პოლიტიკური სწავლების დაყენებაში, ამასთან განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არის კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლების საქმეში.

მიმდინარე სასწავლო წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ კომუნისტთა მიერ პოლიტიკური სწავლების ფორმის ნებაყოფლობით არჩევის შედეგად რაიონში საგრძნობლად გაიზარდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დამოუკიდებლად შემსწავლელთა რაოდენობა. მაგალითად, თუ გასულ სასწავლო წელს მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა რაოდენობა 1.000-მდე კომუნისტს შეადგენდა, წელს ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მოუშვებ კომუნისტთა რიცხვის ზრდა კი არ აკლებს, არამედ კიდევ უფრო აძაღლებს პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას იდეოლოგიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ღრმად ჩასწვდნენ პარტიული პროპაგანდის არსს, მის იდეურ შინაარსს.

სკკპ ისტორიისა და თეორიის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დამოუკიდებლად შესწავლა კარგად არის დაყენებული ხილეულის წყლების ქარხნის, თამბაქოს მეორე ფაბრიკის, ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოს და რაიონის სხვა პარტიულ ორგანიზაციებში. ბავშვთა მეორე საავადმყოფოს პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი ამხ. თ. კოკოშაშვილი) მარქსისტულ-ლენინურ თეორიას დამოუკიდებლად სწავლობს 10 კომუნისტი. პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეთა მოთხოვნით პარტბიუროს მათ დასახმარებლად კონსულტანტად გამოჰყო ამხ. დ. სურგულაძე. იგი თვეში ერთხელ აწყობს ჯგუფურ გასაუბრებას, ხშირად მართავს ინდივიდუალურ კონსულტაციებს. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავენი რაიკომთან არსებულ ლექტორიუმში ესწრებიან ლექციებს, სარგებლობენ რაიკომის ბიბლიოთეკით. პარტიული ორგანიზაცია კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლების საკითხს სისტემატურად განიხილავს პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი კომუნისტი რამდენიმე წლის განმავლობაში ერთსა და იმავე წიგნზე „მუშაობს“, ნამდვილად კი დამოუკიდებლად სწავლების ფორმას იმისათვის იყენებს, რომ თეორიისადმი თავისი უდარდელი დამოკიდებულება დაფაროს. ცხადია, ყოველივე ეს უფრო მეტად იმ პარტორგანიზაციებში ხდება, სადაც პარტიული კონტროლი სუსტად არის დაყენებული.

იმის მაგალითს, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლების შეუფასებლობამ, წარმოადგენს ჩვენი რაიონის საბინაო სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია. ამ რამდენიმე ხნის წინათ საბინაო სამმართველოს უფროსად მუშაობდა ამხ. გ. გუგუშვილი. იგი ირწმუნებოდა — დამოუკიდებლად ვსწავლობ რევოლუციურ თეორიასო. ფაქტიურად ამხ. გ. გუგუშვილი ძალიან ცოტას მუშაობდა თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. ამის გამო იგი ჩამორჩა თეორიაში, შეასუსტა მუშაობა, ხელი მიჰყო ლოთობას. მან მალე დაკარგა ავტორიტეტი თანამშრომელთა შორის, სამმართველოს მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის გამო რაიკომის ბიურო იძულებული გახდა ამხ. გ. გუგუშვილი გაეთავისუფლებინა სამუშაოდან.

ლითონკონსტრუქციის ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ამხ. ნ. ტურიაშვილი) პოლიტიკური თვითგანათლების საქმე თვითდინებას მიანდო. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად გამოყოფილი კონსულტანტები ამხ. ლ. ზარემბო და კ. ჭკუასელი სრულ უმოქმედობას იჩენდნენ. სასწავლო წლის განმავლობაში მათ არ მოუწყვიათ არცერთი ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაცია, არცერთი თეორიული გასაუბრება.

მსგავსი მდგომარეობა იყო თბილმაცივარკომბინატის პარტიულ ორგანიზაციაშიც (პარტბიუროს მდივანი ამხ. ზ. თინიკაშვილი). მართალია, აქ კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების ამაღლებისათვის ყველა საჭირო პირობაა შექმნილი: შემოღებულია კონსულტანტთა მორიგეობა, დარიგებულია აბონემენტები ლექციების ციკლზე დასასწრებად და სხვ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომუნისტების ერთი ნაწილი არ იჩენდა ინტერესს რევოლუციური თეორიისადმი. მაგრამ პარტბიურო „ჩაურევლობის“ გზას როდი დაადგა, პირიქით, მან საჭიროდ ჩათვალა საკითხის პარტიულ კრებაზე განხილვა. კომუნისტთა კრებამ დიდი აქტივობით, მწვავე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. კრების მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს კომუნისტები, რომლებიც არ ზრუნავდნენ თავიანთი შეგნებულობის ამაღლებისათვის, შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი იმათ მიმართ, ვინც გულგრილად ეკიდება კომუნისტის საწესდებო მოვალეობის შესრულებას. ყოველივე ამან კარგი შედეგი გამოიღო, პარტიული კრების შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლება.

გასული სასწავლო წლისაგან განსხვავებით წელს კომუნისტთა ერთი ნაწილი სწავლობს მიმდინარე პოლიტიკას, პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისაკენ. კომუნისტები გულდასმით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის დასახმარებლად რაიკომის ბიბლიოთეკაში შემოღებულია კონსულტანტთა მორიგეობა კომუნისტური პარტიის ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე. პარტიულ ბიბლიოთეკაში მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის იმართება ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. კარგი შედეგები გამოიღო ადგილებზე, მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებში რაიკომის ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილმა გამსვლელმა ჯგუფურმა კონსულტაციებმა.

თეორიული სემინარები მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შესწავლის ერთ-ერთი ნაკადი ფორმაა. მიმდინარე სასწავლო წელს რაიონში მუშაობს პოლიტიკური ეკონომიის (რაიკომის ბიბლიოთეკასთან) და სკკპ ისტორიის შემსწავლელი (ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსთან) თეორიული სემინარები, რომლებშიც უმთავრესად ჩაბმული არიან საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები. თეორიული სემინარების მეცადინეობა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ცოცხლად და საინტერესოდ ეწყობა. სემინარების მონაწილენი ხშირად გამოდიან რეფერატებით, მოხსენებებით, რომელთა გარშემო იმართება შემოქმედებითი დისკუსია. მაგალითად, ამხ. ი. სიხარულიძემ (ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო) წაიკითხა რეფერატი ვ. ი. ლენინის შრომაზე „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“. რეფერატის გარშემო გაცხოველებული კამათი გაიმართა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამხ. ი. ჯიბაშვილმა, ვ. კიკნაძემ, დ. მეშველიანმა, ს. კალაძემ და სხვებმა.

მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კომუნისტი ფორმალურად ირიცხება თეორიულ სემინარში, ხშირად აცდენს მას. მაგალითად, ამხ. მ. ფრანგიშვილს, ბ. ბეტონიშვილს (ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო), ი. გიკაშვილს (ჰიდრომეტხელსაწყოების ქარხანა), დ. ბუჩუაძეს (ზაგოტზერნოს დიდუბის ბაზა), მ. ყუფარაძეს (სპილენძსატკეცი ქარხანა) გაცდენილი აქვთ ოთხ-ოთხი და მეტი მეცადინეობა. ისინი იშვიათად იღებენ მონაწილეობას კამათში, მათ არც ერთხელ არ მოუმზადებიათ რეფერატი ან მოხსენება.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს დიდად ეხმარება თეორიული კონფერენცია, რასაც ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ჯერთვნად როდი აფასებენ. თეორიული კონფერენციების მომზადებისა და ჩატარების კარგი გამოცდილება აქვს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას (პარტკომის მდივანი ამხ. ბ. სალუქვაძე). აქ იანვარ-თებერვალში გამართულ თეორიულ კონფერენციებში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათეულმა კომუნისტმა.

ლექციურ პროპაგანდას დიდი ადგილი უჭირავს პარტიის მთელ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში. კარგად მომზადებული, ღრმამნიშვნელოვანი ლექცია სერიოზულ დახმარებას უწევს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ კომუნისტებს. მიმდინარე სასწავლო წელს საგრძნობლად გაიზარდა რაიკომის შტატგარეშე ლექტორთა რაოდენობა, ამაღლდა ლექციების იდეური შინაარსი. ლექტორთა ჯგუფში შექმნილია სკკპ ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიისა და წარმოების ეკონომიკის, ბუნებისმეტყველების, სახელმწიფო სამართლის და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის სექციები. ლექტორთა დიდ ნაწილს ლექციური მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექტორების ს. სვანიძის, ნ. ბულისკერიას, თ. ლაბაძის, გ. შეწარულის, კ. პაპინაშვილის, ა. ღვინჯილიას და სხვების ნაყოფიერი მუშაობა. წელს უფრო მეტი ყურადღება მიექცა ლექციების ციკლების წაკითხვას. რაიონის საწარმო-დაწესებულებებში ყოველთვიურად 90-100 ლექცია იკითხება თბილისის კომიტეტისა და რაიკომის ლექტორთა ძალებით მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად.

ლექტორებისა და მომხსენებლების მოვალეობაა სისტემატურად აუმჯობესებდნენ ლექციების ხარისხს, ამდიდრებდნენ მათ ახალი მასალებით. სამწუხაროდ, ამას ყველა ლექტორი როდი აკეთებს. გასული წლის სექტემბრიდან რაიკომის შტატგარეშე ლექტორებად მუშაობენ შ. ცერცვაძე და გ. მაქაბერიძე, მაგრამ აქამდე მათ არც ერთხელ არ მოუმზადებიათ ლექცია. საჭიროა სისტემატურად ვიმუშაოთ ლექციური პროპაგანდის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, რადგან

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის 34-ე წლისთავი

ულან-ბატორი, 1 მარტი. (საკდესი). დღეს სრულდება მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დაარსების 34-ე წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილია გაზეთ „უნენის“ მოწინავე სტატია. ჩვენმა პარტიამ, ნათქვამია სტატიაში,—მონღოლი ხალხის რევოლუციურ ბრძოლაში წამყვანმა და ხელმძღვანელმა ძალამ — სახელოვანი გზა განვლო. სახალხო რევოლუციამ ძირეულად შეცვალა ჩვენი ხალხის ცხოვრება და ჩვენი ქვეყნის განვითარებაში ახალი ერა დაიწყო. პარტიის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ იგი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით, პრაქტიკაში შემოქმედებითად იყენებს დიდი ლენინის გენიალურ მოძღვრებას. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით მონღოლი ხალხი, უეჭველია, ახალ წარმატებებს მოიპოვებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ბულგარეთსა და გერმანიას შორის ომის მდგომარეობის შეწყვეტა

სოფია, 1 მარტი. (საკდესი). დღეს სახალხო კრების პრეზიდიუმმა მოიწონა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიას შორის ომის მდგომარეობის შეწყვეტისა და მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების შესახებ და ამის გამო გამოსცა შესაბამისი ბრძანებულება.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 1 მარტი. (საკდესი). დღეს თემთა პალატაში დაიწყო კამათი შეიარაღების საკითხზე, რაც ორ დღეს გასტანს. კამათი გახსნა პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებამ — დაიწყოს წყალბადის ბომბის წარმოება — სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ინგლისელ ხალხში, რომელსაც კარგად აქვს წარმოდგენილი, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეუწყობს ხელს შეფასებების მიღწევას შეიარაღების შემცირებისა და მასობრივი მოსახლეობის აკრძალვის საკითხში.

უნდა აღინიშნოს, რომ წყალბადის ბომბის წარმოების საკითხში კონსერვატორებსა და ლიბერალისტებს შორის არსებითად უთანხმოება არ არის. მთავრობის რეზოლუციის პროექტში მოწონებულია თეთრი წიგნი შეიარაღების კონტროლის საკითხზე. ამ რეზოლუციის „შესწორება“, რომელიც პარლამენტის ლიბერალისტთა ფრაქციამ შეიტანა, შეიცავს თანხმობას გადაწყვეტილებაზე წყალბადის ბომბების წარმოების შესახებ და მთავრობის მიმართ კრიტიკას მხოლოდ იმისათვის, რომ იგი „ძალიან დიდ იმედს ამყარებს მოძველებული სახეობის შეიარაღებაზე“.

მაგრამ ლიბერალისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის შიგნით ერთსულოვნება არ არის წყალბადის ბომბის წარმოების საკითხში, რაც აიხსნება ინგლისელ მშრომელთა ფართო მასების გაწყობილების გაელვნით.

უკმაყოფილებასა და მზარდ წინააღმდეგობას მთავრობის პოლიტიკისადმი, რომელსაც მხარს უჭერენ მეგარჯვენე ლიბერალისტები, მოწმობს ის შესწორება, რომელიც, პრეს ასოციეიშნის საგენტოს ცნობით, 28 თებერვალს შეიტანა ორმა ლიბერალისტმა დრაიბერგმა და ეკლენდმა. მათი შესწორება, კერძოდ, წინადადებას იძლევა, რომ თემთა პალატა არ დაეთანხმოს წყალბადის იარაღის შექმნას, და შეიცავს მოწოდებას მთავრობისადმი გამოიჩინოს „განიარაღების ახლანდელ თათბირზე ან სხვა რომელმე შესაფერ შემთხვევაში ინიციატივა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ამ და სხვა სახეობის ატომგულის იარაღის საერთო აკრძალვა“.

ლონდონი, 1 მარტი. (საკდესი). გახსნა რა დღეს კამათი თემთა პალატაში „თავდაცვის საკითხებზე“, ესე იგი ინგლისის შეიარაღებაზე, პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი გამოვიდა ატომური და წყალბადის იარაღის გამლებით წარმოების დამცველად.

ჩერჩილმა აზრი გამოთქვა ომში ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენების სასარგებლოდ. ომის შემთხვევაში, განაცხადა ჩერჩილმა, „სისულელე იქნებოდა გვეფიქრნა“, რომ ეს იარაღი არ იქნება გამოყენებული.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ღიღერების დევნა

ნიუ-იორკი, 1 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ უარი თქვა გადასინჯოს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის 13 ხელმძღვანელის საქმე, რომლებიც სპეციალურ ბანაკში იმყოფებიან მთავრობის „ინფორმატორების“, მათ შორის მატუსოუს ყალბი ჩვენების საფუძველზე.

ამერიკული პრესის ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქცია ახალ რეპრესიულ ღონისძიებებს ამზადებს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის იმ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, რომელთა პატიმრობის ვადა უახლოეს მომავალში თავდება. გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ აღნიშნავს, რომ 2 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ექვსი ლიდერის საპყრობილიდან გამოსვლისას ჭიშკარში მათ დაელოდებიან ფედერალური სასამართლო აღმასრულებლები, რათა დააპატიმრონ ისინი და წაუყენონ „ახალი ბრალდებანი, როგორც კომპარტიის წევრებს“.

განახლდა გერმანიის კომუნისტური პარტიის სასამართლო პროცესი კარლსრუეში

ბერლინი, 1 მარტი. (საკდესი). როგორც აღნ-ის საგენტო იუწყება, დასავლეთ გერმანიის „ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ“ კარლსრუეში დღეს განაახლა გერმანიის კომუნისტური პარტიის სასამართლო პროცესი.

ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმი მხარს უჭერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციას

სოფია, 1 მარტი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმმა დღეს მოისმინა პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. დამიანოვის ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 9 თებერვლის დეკლარაციის შესახებ და ერთსულოვნად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმი მხურვალედ მიესალმება და სავსებით უჭერს მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაციას, რომელიც კვლავ ადასტურებს საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, განმტკიცდეს მშვიდობა და დამყარდეს მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა ყველა ხალხს შორის.

მშვიდობიანი და შემოქმედებითი შრომის ერთგული ბულგარელი ხალხი ისე ძლიერ არაფერს არ ესწრაფვის, როგორც ბალკანეთისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობასა და მშვიდობიან თანამშრომლობას. ამიტომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმი და მთელი ბულგარელი ხალხი სავსებით იზიარებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შეშფოთებას იმ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა ევროპაში, აზიასა და დედამიწის ზოგიერთ სხვა ნაწილში და რომელიც მნიშვნელოვნად აძლიერებს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობას და ზრდის ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს.

ჩვენს ხალხს, რომელსაც ახსოვს წარსულის მწარე გამოცდილება, შეგნებული აქვს, რომ პოლიტიკა გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისა და ზოგიერთ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებების შექმნისა, რომლებიც მიმართულია სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, აძლიერებს ევროპაში და მთელ მსოფლიოში ახალი ომის ხანძრის გაჩაღების საფრთხეს.

მთელ ბულგარელ ხალხს ასევე ღრმად აქვს შეგნებული, რომ გაძლებული შეიარაღება, ატომური ომის მომზადება და სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შექმნა აშკვავებს სახელმწიფოთა ურთიერთობას და ზრდის ომის საფრთხეს. ომის საფრთხე იზრდება კიდევ იმიტომ, რომ უშუალოდ ჩვენი სახეზვრების ახლოს ბალკანეთის ხალხებისათვის უცხო ძალები სამხედრო ბაზებს ქმნიან აგრესიული მიზნით.

ყველა სახელმწიფოსათვის, მათ შორის ბულგარეთისა და მისი მეზობელი ქვეყნებისათვის სასარგებლოა ბოლო მოეღოს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისა და ევროპაში აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებათა შეკოწიწების პოლიტიკას, შეიქმნას კოლექტიური უშიშროების სისტემა ევროპის ყველა ქვეყნის მონაწილეობით, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

მშვიდობის განმტკიცება უწინარეს ყოვლისა მოითხოვს აიკრძალოს ატომური იარაღი და მასობრივი მოსობის სხვა სახეობათა იარაღი, მოითხოვს შეიარაღების საყოველთაო შემცირებას. ამ მიზნის მიღწევის საქმეში დიდი წვლილია საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადება, რომ მოისპოს ატომური და წყალბადის იარაღის არსებული მარაგი, შეიზღუდოს შეიარაღებული ძალები და შეიარაღება და ჯერ კიდევ 1955 წელს მოწვეულ იქნას განიარაღების მსოფლიო კონფერენცია.

გამოხატავს რა ბულგარელი ხალხის მისწრაფებას იცხოვროს მშვიდობისა და ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის ვითარებაში, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ ამის მიღწევა შეიძლება, თუ სახელმწიფოთა ურთიერთობა აშენდება თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თავდაუსხმელობისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაზე უარისთქმის, სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემის პრინციპების შესაბამისად.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმს შეგნებული აქვს, რომ მშვიდობის შენარჩუნებისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარლამენტებს, რომლებიც საკანონმდებლო აქტებს იღებენ.

ცალკეულ სახელმწიფოთა პარლამენტებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას შეუძლია გამოიწვიოს დაძაბულობის შენელება და ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განვითარება. აი ამიტომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმი მხარს უჭერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ინიციატივას, რომ პარლამენტებს შორის დამყარდეს უშუალო ურთიერთობა, და მზად არის მიიღოს საპარლამენტო დელეგაციები სხვა ქვეყნებიდან და, განსაკუთრებით, ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან, აგრეთვე „გაგზავნოს ასეთი დელეგაციები ამ ქვეყნებში.

გამოთქვამს რა ბულგარელი ხალხის მისწრაფებას ყველა სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისადმი, სახალხო კრების პრეზიდიუმი აცხადებს, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის განსამტკიცებლად.

ამერიკის შეერთებული შტატები არღვევენ ქენევის შეთანხმებებს

დალესის გამგზავრება ინდოჩინეთში

ნიუ-იორკი, 1 მარტი. (საკდესი). დღეს დილით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი საიგონიდან მანილას გაფრინდა.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, დალესი საიგონში ყოფნის დროს ეთათბირა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წარმომადგენელს სამხრეთ ვიეტნამში გენერალ კოლინსს, პრემიერ-მინისტრ ნგო დინ დიემს და საფრანგეთის გენერალურ კომისარს ინდოჩინეთში გენერალ ელიპს. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრების დროს განიხილეს ვიეტნამის არმიის საბრძოლო მომზადების საკითხი და „ზოგიერთი სადავო საკითხი, რომლებიც არსებობს საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და პოლიტიკურ წარმომადგენლებს შორის სამხრეთ ვიეტნამში“.

კამბოჯაში დალესს მოლაპარაკება ჰქონდა მეფე სიანუკთან სამეფო არმიის გაწვრთნის შესახებ, რომელსაც ჰპირდებიან გარკვეული რაოდენობით ამერიკულ იარაღს.

პარიზი, 1 მარტი. (საკდესი). ინფორმირებულ წრეებში აცხადებენ, რომ სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წარმომადგენელთან გენერალ კოლინსთან დალესის თათბირის დროს განიხილეს ღონისძიებანი, თუ როგორ განმტკიცონ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციები სამხრეთ ვიეტნამის ეკონომიკასა და სახელმწიფო აპარატში.

ლონდონი, 1 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ვიეტნამიდან (ლოსი). იუწყება, ლოსის პრემიერ-მინისტრმა კატაიმ გუშინ განაცხადა, რომ უახლოეს ოთხ დღეში ამერიკის შეერთებული შტატებსა და ლოსს შორის დაიწყება მოლაპარაკება ხელშეკრულებაზე, რომელიც ითვალისწინებს ამერიკის მიერ სამხედრო და ეკონომიური „დახმარების“ გაწევას.

კატაის სიტყვით, გადაწყვეტილება ასეთი ხელშეკრულების დადების შესახებ მიღებულია იმ დროს, როცა ვიენ-ტიანში იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი.

პარიზი, 1 მარტი. (საკდესი). პარიზის გაზეთები ლოსსში, კამბოჯასა და სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის უკანასკნელ ვიზიტებს უკავშირებენ ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვას — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკში ჩაითრიონ ინდოჩინეთის ეს სამი სახელმწიფო.

გაზეთების ყურადღება მიიპყრო დალესის განცხადებამ საიგონის აეროდრომზე იმ დღეს, როცა იგი სამხრეთ ვიეტნამს ჩავიდა. დალესმა პირდაპირ განაცხადა, რომ სამხრეთი ვიეტნამი „სარგებლობას მიიღებს ბანგკოკის თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან“.

ამერიკის დიპლომატიის აქტივობა ამ ქვეყნებში იმას მოწმობს, რომ ამერიკის აგრესიულ წრეებს განზრახული აქვთ უგულებელყონ ქენევის შეთანხმებანი, რომლებითაც ინდოჩინეთის სახელმწიფოებს აკრძალული აქვთ სამხედრო ბლოკებში შესვლა.

საღაჰ საღემის მოღაპარაკება არაბთა ქვეყნებში

დამასკო, 1 მარტი. (საკდესი). აქ გრძელდება ეგვიპტის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრის სალაჰ საღემის მოლაპარაკება სირიის ხელმძღვანელებთან იმ საკითხზე, რომ შექმნან არაბთა გაერთიანებული არმია ისე, რომ ამაში არ მონაწილეობდეს ერაყი.

გუშინ სირიის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა შაუქათ შუქერმა, რომელმაც სალაჰ სალემის პატივსაცემად გამართულ სადილზე სიტყვა წარმოთქვა, მოიწონა ეგვიპტის იდეა არაბთა ქვეყნების არმიების გაერთიანებისა და სალემს უსურვა „სრული წარმატება მის მისიაში“.

სირიული პრესა შუქერის ამ განცხადებას აფასებს როგორც იმის ნიშანს, რომ სალაჰ სალემმა მოახერხა დაარწმუნებინა სირია მიიღოს ეგვიპტის წინადადება არაბთა იმ ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო კავშირის შექმნის შესახებ, რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი თურქეთ-ერაყის სამხედრო პაქტისადმი.

მოლაპარაკების მონაწილე ეგვიპტისა და სირიის დელეგაციებთან ახლო მდგომ წრეებში მოელიან, რომ საუდის არაბეთი პირველი მიემხრობა არაბთა ქვეყნების იმ ორგანიზაციას, რომელსაც ეგვიპტე მოითხოვს.

კაირო, 1 მარტი. (საკდესი). ოფიციოზური გაზეთი „ალ-გუმჰურია“ ეხება ლიბანის მთავრობის ხელმძღვანელებთან სალაჰ სალემის მოლაპარაკების შედეგებს და ამტკიცებს, რომ „სალაჰ სალემმა მოახერხა დაარწმუნებინა ლიბანი დაგმოს თურქეთ-ერაყის პაქტი“.

კაიროს რადიოს მოჰყავს ლიბანის პრემიერ-მინისტრ სამი სოლჰის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ლიბანის მთავრობა, პარლამენტი და საზოგადოებრიობა გულდასმით სწავლობენ „სალემის პოზიტიურ წინადადებებს, რომელთა მიზანია არაბთა ქვეყნების ეკონომიური და სამხედრო ერთიანობის უზრუნველყოფა“.

დამასკო, 1 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ამანიდან გადმოგვცემს, 2 მარტს ოორდანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად იქ ჩავა ეგვიპტის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრი სალაჰ სალემი.

ლონდონი, 1 მარტი. (საკდესი). როგორც პრესის ცნობებიდან ცხადი ხდება, ინგლისის პოლიტიკური წრეები ბეჯითად ადევნებენ თვალყურს ეგვიპტის დიპლომატიურ საქმიანობას არაბთა ქვეყნებში. თუმცა ოფიციალური წრეები უარს ამბობენ კომენტარი გაუკეთონ ცნობებს ეგვიპტის გეგმებისა და წინადადებათა შესახებ, ისინი არ მალავენ თავიანთ შეშფოთებას ამის გამო, თუ რა გზით წავლენ არაბთა ქვეყნები. მოელიან, რომ ინგლისი, როგორც თურქეთ-ერაყის პაქტის მომხრე, დიპლომატიურ ნაბიჯებს გადადგამს არაბთა ქვეყნების დედაქალაქებში, რათა აიძულოს ისინი უარყონ ეგვიპტის წინადადებანი.

„ტაიმსი“ 28 თებერვლის მოწინავე სტატიაში ქებით იხსენიებს შუა აღმოსავლეთის სამხედრო ბლოკის შექმნის გეგმებს და მოელის, რომ როგორც პაკისტანი, ისე ირანი მალე მიემხრობიან თურქეთ-ერაყის პაქტს. გაზეთი „ანკარა-ბაღდად-კარაჩის კომბინაციას“ არაბთა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის „დამაკავშირებელ რგოლს“ უწოდებს.

საავიაციო კატასტროფა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 1 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, დღეს ლეიკ ჩარლზში (ლუიზიანის შტატი) დაიმსხვრა ამერიკის რეაქტიული ბომბდამშენი „ბ-47“. ეკიპაჟი დაიღუპა. ადგილობრივ მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

მიჯნაგი ლაიპციგში

ბერლინი, 1 მარტი. (საკდესი). გუშინ ლაიპციგში საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობასთან დაკავშირებით გაიმართა ტრადიციული მიტინგი, რომელიც მოაწყო დემოკრატიულ გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ. შეკრებილების წინაშე სიტყვა წარმოთქვა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პროფესორმა კორენსმა. მან აღნიშნა, რომ ლაიპციგის ბაზრობაზე შეიკრიბნენ გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენლები, რომლებსაც აერთიანებს საერთო მისწრაფება თავისუფალი, ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობისადმი. ლაიპციგის ბაზრობა, თქვა კორენსმა, ამტკიცებს მშვიდობიანი ვაჭრობის შესაძლებლობას სხვადასხვა ქვეყანას შორის, მიუხედავად მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისა. იგი ამტკიცებს, რომ შესაძლებელია მშვიდობიანი შეჯიბრება კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ოტო ნუშკემ. მან აღნიშნა გერმანიის გათიშვის დამღუპველი შედეგები და მოუწოდა გერმანელებს გააკეთონ ყოველივე შესაძლებელი თავიანთი სამშობლოს რაც შეიძლება მალე მშვიდობიანი გაერთიანებისათვის. ნუშკემ ილაპარაკა ბაზრობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ იგი მოწმობს, რომ გაკოტრდა ამერიკის ემბარგოს პოლიტიკა, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს ვაჭრობის განვითარებას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში

პარიზი, 1 მარტი. (საკდესი). თანახმად პრესის ცნობებისა, გუშინ მთავრობის სხდომაზე, რომელიც სხვადასხვა საკითხს განიხილავდა, დიდი ყურადღება მიექცა მომავალ კამათს რესპუბლიკის საბჭოში პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შესახებ.

როგორც დღევანდელი გაზეთები აღნიშნავენ, ედგარ ფორმა მოითხოვა, რომ რესპუბლიკის საბჭოში კამათი დაიწყოს 20 მარტს. ამ საკითხზე „არავითარი საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ, და მას კვლავ განიხილავენ 2 მარტს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე რესპუბლიკის პრეზიდენტის რენე კოტის თავმჯდომარეობით.

გაზეთ „ენფორმასიონის“ ცნობით, პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის პროცედურის საკითხი კვლავ მწვავე ბრძოლას იწვევს პარლამენტის წრეებში.

როგორც „ენფორმასიონი“ წერს, ფორის მთავრობა იმის მომხრეა, რომ, თუ თავიდან ვერ აიცილა რესპუბლიკის საბჭოს შესწორებათა შეტანა, მომავალში დასაღერდეს ეროვნულ კრებაში მხოლოდ ამ შესწორებათა და არა მთლიანად კანონპროექტის განხილვას.

გაზეთ „ენფორმასიონს“ მიაჩნია, რომ პოლიტიკური მდგომარეობა პარიზის შეთანხმებათა საბოლოო რატიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით „გაურკვეველი“ გახდა.

მთავრობამ განიხილა აგრეთვე საკითხი, რომ განახლდეს საფრანგეთ-ტუნისის მოლაპარაკება ტუნისისათვის „შინაგანი ავტონომიის“ მინიჭების შესახებ შერდეს-ფრანსის ყოფილი მთავრობის მიერ შემუშავებულ პირობათა შესაბამისად. გარდა ამისა, მთავრობამ გადაწყვიტა დაიჩქაროს პარლამენტის მიერ 1955 წლის ბიუჯეტის დამტკიცება. ამ საკითხზე კამათი ეროვნულ კრებაში 4 მარტს დაიწყება.

საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში

პარიზი, 1 მარტი. (საკდესი). დღეს რესპუბლიკის საბჭოს საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეთა სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კამათი პარიზის შეთანხმებათა შესახებ რესპუბლიკის საბჭოში დაინიშნოს 22 მარტისათვის. ნავარაუდეია კამათი სამ დღეს გაგრძელდეს.

გაზაფხული დგება

წელს თბილ ზამთარს ნაადრევი გაზაფხული მოჰყვა. ბუნება ცოცხლდება. აყიკყიტდნენ ჩიტები, ყვავილნარებში გაჩნდა ახალი ბალახი, ია და სხვა გაზაფხულის ყვავილი.

ლამაზი სანახავია ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის სამუშაო ნაკვეთი, რომელიც თბილისის ერთ-ერთ განაპირა უბანში მდებარეობს. მარადმწვანე მცენარეებს შორის თეთრად გადაპენტილან ნუშის ხეები. თუ ცუდი ამინდი არ დაუდგათ, სადაც არის აყვავდება ატამი, ალუჩა, ბალი.

დილიდან საღამომდე არ წყდება ბაღში მოსწავლეთა მხიარული ჟრიამული. მებოსტნეობის, მეხილეობა-მევენახეობის, მეყვავილეობის წრის წევრებს თავიანთ მეურნეობაში დიდი იხანია გაუჩაღებიათ საგაზაფხულო სამუშაოები. უკვე დათესეს საგაზაფხულო ხორბალი, ბოსტნეულიდან — ჭარხალი და ოხრახუში. ამჟამად მოსწავლეები ნიადაგს ამუშავებენ, ვაზს სხლავენ, ყვავილების ჩითილები გამოჰყავთ.

სურათზე: ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მეხილეობა-მევენახეობის წრის წევრები ე. ბაბალაშვილი (მარცხნივ) და ა. აივაზოვი აკვირდებიან ახლად გაფურჩქნილ ნუშის ყვავილებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შრომეები ტექნიკის ისტორიის შესახებ

1954 წლის დამლევს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა მორიგი მერვე წიგნი სერიიდან „შრომები ტექნიკის ისტორიის შესახებ“. წიგნი მიძღვნილია სამშენებლო ტექნიკის ისტორიის საკითხებისადმი.

კრებულში მოცემულია მასალები ტექნიკის ისტორიის პირველი საკავშირო თათბირისა, რომელიც 1952 წლის დამდეგს შედგა მოსკოვში. წიგნში მოთავსებული ნაშრომები აღწერენ დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა საინჟინრო აზრის მიღწევებს და მდიდარ გამოცდილებას საუკუნეთა მანძილზე, რაც მეცნიერების მთელ რიგ დარგებში მოწმობს ჩვენი სამშობლოს პრიორიტეტს.

წიგნი იხსნება ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დ. მშვენიერაძის ნაშრომით — „სამშენებლო საქმე ძველ საქართველოში“. ნაშრომში წარმოდგენილია ამ მოხსენების მასალები, რომელიც ავტორმა წაიკითხა ტექნიკის ისტორიის საკავშირო თათბირზე. როგორც ცნობილია, ამ სათაურით 1952 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამომცემლობა „ტექნიკა და შრომაში“ გამოსცა ამავე ავტორის დიდი მონოგრაფია.

აღნიშნულ ნაშრომში თანმიმდევრობით გარჩეულია ქართული სამშენებლო ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლები პირველყოფილი თემური წყობილებიდან მე-19 საუკუნემდე.

გარდა ამისა, წიგნში მოთავსებულია კიდევ 7 ღირსშესანიშნავი ნაშრომი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ს. ტერეშტენოის ნაშრომი მიძღვნილია რუსული სამშენებლო შეკვანიკის ისტორიაში დაგროვილი ფფრაცლებისადმი. დოცენტ ვ. ბოლშაკოვის ნაშრომი წარმოადგენს საბჭოთა კავშირში ხის კონსტრუქციების განვითარების მოკლე ისტორიულ მიმოხილვას. დოცენტი გ. კოველმანი მოგვითხრობს ცნობილი რუსი ინჟინრის ვლადიმერ გრიგოლის-ძე შუხოვის შესახებ, ხოლო დოცენტი ა. მიტინსკი — ფელიქს სტანისლავის-ძე ინსკის დამსახურებაზე ტექნიკის განვითარების დარგში. ცემენტის სამამული წარმოების განვითარების ისტორიისადმი მიძღვნილია დოცენტ ი. ზნაჩკო-ივორსკის ნაშრომი. დოცენტ ე. რატცის ნაშრომი აშუქებს რუსეთში რკინაბეტონის ისტორიას. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ვ. კუზნეცოვი წარმოგვიდგენია ნაშრომით: „საბჭოთა მეცნიერების ნაშრომები დრეკად ფუძეებზე ნაგებობათა გაანგარიშების თეორიის დარგში“.

წიგნის რედაქტორია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ა. სამარინი.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

1 მარტს გაიმართა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მე-12 ტური. ჩემპიონატის ლიდერები გროსმაისტერი სმისლოვი და ოსტატი სპასკი მე-17 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. მიკენას-ლისიცინის პარტია დამთავრდა მიკენასის გამარჯვებით. დიდი ინტერესი გამოიწვია გროსმაისტერების პეტროსიანისა და ტაიმანოვის შეხვედრამ. პეტროსიანმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, გონებამახვილური მანევრებით შეასუსტა პაიკების პოზიცია, რომელიც შავების მეფეს იფარავდა, ხოლო შემდეგ იერიშზე გადავიდა. ტაიმანოვის ფიგურები შეზღვილი აღმოჩნდნენ. 24-ე სვლაზე იგი დიდხანს ფიქრობდა, სვლა არ გაუკეთებია, საათი გააჩერა და თავი დამარცხებულად ცნო. ეს იმვითარი შემთხვევა სატურნირო პრაქტიკაში, როცა გროსმაისტერი აგებს ფიგურებით სავსე დაფაზე. (საკდესი).

რედაქტორი ნ. ჯაში.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — სევილიელი დალაქი (გ. გასპარიანის მონაწილეობით), რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი, მარჯანიშვილის სახელობის— მაია წყნეთელი, გრიბოედოვის სახელობის — მოგზაურობის წლები, სომხური დრამის — ნათელი დღეა, მუსიკალური კომედიის — მეგობრები.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი — შიშის საფასური, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, კომკავშირელი, კოლხიდა, ვორონეშელოვისა და გორკის სახელობის კლუბები — ისინი ჩამოვიდნენ მთიდან, თბილისი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ფრეგიის ვარსკვლავის ქვეშ, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი — ფანფან-ტულპანი, დიდუბე — ე. ტალმანი — თავისი კლასის შვილი.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

3, 4, 5, 6, 7 მარტს

გამოსათხოვარი გასტროლები

ორიგინალური ატრაქციონისა

მსახიობ ა. სოკოლის

ხელმძღვანელობით

„სასწაულები უსასწაულოდ“

და დიდი საცირკო წარმოდგენა

3 განყოფილებად

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 6 მარტს

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 1 და 24, პლეხანოვის პროსპ. № 97, ჩელიუსკინელების ქ. № 31. მიიღება შეკვეთები ელექტიურ დასწრებაზე. ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაიშვებიან.

დისერგაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის ქუჩა № 10)

22 მარტს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1) **ელენე ვასილის ასული ფერეთელი**

თემაზე: „საქართველოს სსრ-ში გამოვლინებულ ადამიანის სალმონელოზების ეტიოლოგიის დაზუსტებისათვის“.

2) **ვახტანგ კონსტანტინეს-ძე ელიოზიშვილი**

თემაზე: „Материалы к изучению методов воспроизведения экспериментальных гипертензий“.

29 მარტს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

დამიანე პეტრეს-ძე სვანიძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Клинико-эпидемиологическая характеристика амебиаза в Грузии“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

ყველა ტიპის რადიომიმღებებისა და მაგნიტოფონების საგარანტიო რემონტს აწარმოებენ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოსატრანსლაციო ჯხელის დირექციის რადიოსახელოსნოები—